

სარეზიდენტო პროგრამა

„საოჯახო მედიცინა“

(ხანგრძლივობა 3 წელი – 33 თვე)

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები 2

- მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები 2
- მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა 2
- მუხლი 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა 28
- მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამის მოდულებად დაყოფა და მოდულების განხორციელების ორგანიზაცია, სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების მოდულებად დაყოფა 29
- მუხლი 5. სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების ზოგადი დახასიათება და განხორციელების ორგანიზაცია 30
- მუხლი 6. სარეზიდენტო პროგრამის I ეტაპის მიზანი და ამოცანები 30
- მუხლი 7. სარეზიდენტო პროგრამის II ეტაპის მიზანი და ამოცანები 33
- მუხლი 8. სარეზიდენტო პროგრამის III ეტაპის მიზანი და ამოცანები 36
- მუხლი 9. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები 39
- მუხლი 10. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება 40
- მუხლი 11. პროგრამის ხანგრძლივობა 40
- მუხლი 12. პროგრამის განახლების პერიოდულობა 41
- მუხლი 13. პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან 41

თავი II. პროგრამის I ეტაპი 42

- მუხლი 14. 42
- მუხლი 15. 43
- მუხლი 16. 50
- მუხლი 17. 52
- მუხლი 18. 55

თავი III. პროგრამის II ეტაპი 60

- მუხლი 19. 60
- მუხლი 20. 60
- მუხლი 21. 61
- მუხლი 22. 63
- მუხლი 23. 64
- მუხლი 24. 65
- მუხლი 25. 66
- მუხლი 26. 68
- მუხლი 27. 70
- მუხლი 28. 71
- მუხლი 29. 75

თავი IV. პროგრამის III ეტაპი 76

- მუხლი 30. 76
- მუხლი 31. 77
- მუხლი 32. 83
- მუხლი 33. 86

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“ დიპლომის შემდგომი მზადების უმთავრესი მიზანია ჩამოაყალიბოს ექიმი-სპეციალისტი, რომლის თეორიული ცოდნა და პროაქტიური უნარ-ჩვევები შეესაბამება ოჯახის ექიმის სპეციალობის აღწერილობას, რომელიც, თავის მხრივ, მაქსიმალურად შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ (უპირველეს ყოვლისა, ევროპულ) სტანდარტებს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის ინტერესებსა და თავისებურებებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

2. წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამა აღწერს სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“ რეზიდენტების სწავლების/მზადების პროცესის ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამის ამოცანაა ჩამოაყალიბოს რეზიდენტი როგორც სპეციალისტი „ოჯახის ექიმი“, ამ სპეციალობის ყველა ძირითადი 12 მახასიათებლის და 6 კომპეტენციის მიხედვით (იხ. სპეციალობის აღწერილობა).

მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა

1. სპეციალობის („საოჯახო მედიცინა“) განსაზღვრება: საოჯახო მედიცინა – პირველად ჯანდაცვაზე ორიენტირებული აკადემიური და მეცნიერული დისციპლინაა საკუთარი საგანმანათლებლო შინაარსით, კვლევითი, მტკიცებულებზე დაფუძნებული და კლინიკური საქმიანობით.

2. ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის ევროპის საზოგადოების (WONCA EUROPE) ბოლო განმარტებების მიხედვით (European Definition of Family Medicine, 2002) საოჯახო მედიცინის, როგორც დისციპლინის, მახასიათებლებია:

ა) ჩვეულებრივ, სამედიცინო პერსონალთან პირველი შეხების წერტილია ჯანდაცვის სისტემაში; უზრუნველყოფს ღია და შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას მომხმარებლისათვის და დაკავებულია მისი ჯანმრთელობის პრობლემებით ასაკის, სქესის ან რაიმე პიროვნული მახასიათებლის მიუხედავად;

ბ) რაციონალურად იყენებს ჯანდაცვის რესურსებს პირველად ჯანდაცვაში სამედიცინო დახმარების კოორდინაციის, სხვა პროფესიონალებთან ერთობლივი საქმიანობის გზით, აგრეთვე, სხვა სპეციალობებთან ურთიერთობის მართვით და ადვოკატირებით იმ შემთხვევებში, როცა პაციენტს ეს სჭირდება;

გ) ავითარებს ინდივიდზე (პიროვნებაზე) ორიენტირებულ მიდგომას, ორიენტირებულს თავად ინდივიდზე, მის ოჯახზე და თემზე;

დ) აქვს უნიკალური საკონსულტაციო პროცესი, რომელიც აფუძნებს დროით შეუზღუდავ ურთიერთობებს ექიმსა და პაციენტს შორის ეფექტური კომუნიკაციის გზით;

ე) პასუხისმგებელია გამჭოლი, უწყვეტი დახმარებისათვის პაციენტის საჭიროებების შესაბამისად;

ვ) სარგებლობს სპეციფიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესით, რაც განპირობებულია თემში დაავადებების გავრცელებითა და სიხშირით;

ზ) ერთდროულად მართავს პაციენტის როგორც მწვავე, ისე ქრონიკულ პრობლემებს;

თ) მართავს დაავადებებს რომელნიც წარმოდგენილი არიან არადიფერენცირებული ფორმით, თავისი განვითარების ადრეულ ეტაპებზე, რაც შეიძლება თხოულობდეს გადაუდებელ ჩარევას;

ი) ხელს უწყობს ჯანმრთელობას და კეთილდღეობას სათანადო და ეფექტური ჩარევებით;

კ) სპეციფიკური პასუხისმგებლობის მატარებელია თემის ჯანდაცვაზე;

ლ) ეხმიანება ჯანმრთელობის პრობლემებს მათი ფიზიკური, სოციალური, კულტურული და ეგზისტენციალური განზომილებების გათვალისწინებით.

3. სპეციალისტის („ოჯახის ექიმის“) განსაზღვრება:

ა) ოჯახის ექიმი არის ექიმი სპეციალისტი, რომელიც სათანადო განსწავლის გზით დაუფლებულია „საოჯახო მედიცინის“, როგორც დისციპლინის პრინციპებს. ის პერსონალური ექიმია, რომელიც პასუხისმგებელია ყოვლისმომცველი და მუდმივი ზრუნვისათვის ყოველ პირზე, რომელსაც ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, განურჩევლად მისი ასაკის, სქესისა და დაავადებისა;

ბ) ოჯახის ექიმი ზრუნავს პიროვნებაზე ოჯახის, თემის, კულტურის კონტექსტში, ყოველთვის პატივს სცემს პაციენტის ავტონომიას. ის იღებს პასუხისმგებლობას თემის წინაშეც. პაციენტთან სამოქმედო გეგმის შედგენისას ოჯახის ექიმი ერთობლივად განიხილავს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს. ამისათვის იყენებს პაციენტთან განმეორებითი კონტაქტების საფუძველზე შექმნილ ცოდნასა და მოპოვებულ ნდობას;

გ) ოჯახის ექიმი თავის პროფესიულ როლს ასრულებს ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციისა და მკურნალობის, მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის გზით;

დ) ყოველივე აღნიშნულს ოჯახის ექიმი ან თავად აკეთებს, ან კოორდინაციას უწევს სხვების მიერ გაწეულ მომსახურებას. ოჯახის ექიმი ყოველთვის ითვალისწინებს ჯანმრთელობის საჭიროებებს და არსებულ, ხელმისაწვდომ რესურსებს; საჭიროების შემთხვევაში ეხმარება პაციენტს ამ რესურსების შესაბამისი მომსახურების მიღებაში.

4. სპეციალისტის პროფესიული ზოგადი ცოდნა: ოჯახის ექიმის, როგორც სპეციალისტის ზოგადი კომპეტენცია (ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულება) მთლიანად დისციპლინის ზემოსხენებული მახასიათებლებიდან გამომდინარეობს. ოჯახის ექიმის, როგორც სპეციალისტის, პროფესიული ზოგადი კომპეტენცია 6 მთავარ კომპონენტს მოიცავს:

- ა) პირველადი სამედიცინო დახმარების მართვა;
- ბ) ინდივიდზე კონცენტრირებული სამედიცინო დახმარება;
- გ) სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის უნარი;
- დ) ყოვლისმომცველი მიდგომა;
- ე) ორიენტაცია თემზე;
- ვ) ჰოლისტური მოდელირება.

5. პირველადი სამედიცინო დახმარების მართვა: აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

- ა) პაციენტთან პირველი კონტაქტის მართვა მისი ჯანმრთელობის ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით; ამისათვის აუცილებელია:
 - ა.ა) პირველად ჯანდაცვაში არსებული პრობლემების ეპიდემიოლოგიის ცოდნა;
 - ა.ბ) პირველად ჯანდაცვაში ხშირად არსებული მდგომარეობების ცოდნა და მართვა;
 - ა.გ) მწვავე და ქრონიკული დაავადებების მართვის ორგანიზაციული უზრუნველყოფის უნარ-ჩვევები;
- ბ) ჯანმრთელობის პრობლემების სრული სპექტრის მოცვა; ამისათვის აუცილებელია:
 - ბ.ა) პირველად ჯანდაცვაში გამოყენებული პრევენციული ღონისძიებების ცოდნა;
 - ბ.ბ) მწვავე და ქრონიკული მდგომარეობების მართვის, პრევენციული ღონისძიებების, პალიატიური და გადაუდებელი დახმარების უნარ-ჩვევები;
 - ბ.გ) პირველად ჯანდაცვაში ხშირად არსებული პრობლემების დიაგნოსტიკისათვის აუცილებელი ანამნეზური მონაცემების შეკრების, ფიზიკური გასინჯვის და დამატებითი გამოკვლევების გამოყენების უნარ-ჩვევები;

ბ.დ) აღნიშნული მდგომარეობების ფარმაკოლოგიური და არაფარმაკოლოგიური მკურნალობის უნარ-ჩვევები;

ბ.ე) პრობლემების პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

გ) სამედიცინო მომსახურების კოორდინაცია პირველად ჯანდაცვაში მომუშავე სხვა პერსონალთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან; ამისათვის აუცილებელია:

გ.ა) საქართველოში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის არსებული სისტემის ცოდნა;

გ.ბ) პაციენტებთან და თანამშრომლებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ფლობის მნიშვნელობის გააზრება;

გ.გ) ეფექტური გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;

დ) ადეკვატური და ეფექტური სამედიცინო მომსახურების გაწევის და ჯანდაცვის სერვისების უტილიზაციის უნარი; ამისათვის აუცილებელია:

დ.ა) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემისა და ამ სისტემაში პირველადი ჯანდაცვის ფუნქციისა და როლის ცოდნა;

დ.ბ) ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეებზე რეფერალის განხორციელების წესების ცოდნა;

დ.გ) პირველადი და მეორეული ჯანდაცვის დონეებს შორის ურთიერთობის მართვის უნარ-ჩვევები, ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან კომუნიკაციის უნარის ჩათვლით;

ე) პაციენტისათვის აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში; ამისათვის აუცილებელია:

ე.ა) კომუნიკაციის უნარ-ჩვევები პაციენტის და მისი ოჯახის წევრებისათვის კონსულტაციის გაწევისას, მათი სწავლებისთვის, პაციენტის მკურნალობისთვის;

ე.ბ) ორგანიზაციული უნარ-ჩვევები სამედიცინო ჩანაწერების წარმოებისთვის, ინფორმაციის მართვისთვის, გუნდური მუშაობისთვის, პრაქტიკის მართვისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის აუდიტისთვის;

ე) პაციენტის ადვოკატის როლის შესრულება; ამისათვის აუცილებელია:

ე.ა) პაციენტთან თანასწორი, თანაბარი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც გამორიცხავს პატერნალისტურ დამოკიდებულებას;

ე.ბ) ეფექტური ლიდერობის, მოლაპარაკებების და კომპრომისის მიღწევის უნარის ფლობა.

6. ინდივიდზე კონცენტრირებული სამედიცინო დახმარება: აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

ა) პაციენტთან ურთიერთობისას და მისი პრობლემების მართვისას პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება და პაციენტის თავისებურებების გათვალისწინება; ამისათვის აუცილებელია:

ა.ა) ფუნდამენტური, მეცნიერული ცოდნა პიროვნების, მისი ცხოვრებისეული მიზნების და მოლოდინის შესახებ;

ა.ბ) სპეციფიკური მიდგომის გამომუშავება პიროვნების დამოკიდებულების, ფასეულობების და რწმენის შესაფასებლად და აღსაქმელად, ამ პიროვნების ოჯახის, თემის, სოციალური და კულტურული თავისებურების გათვალისწინებით;

ა.გ) დაავადების (ობიექტური; ორგანოს ან ორგანოთა სისტემის სტრუქტურის ან ფუნქციის დარღვევა) და ავადმყოფობის (სუბიექტური; პაციენტისეული განცდა დაავადებისა) კონცეფციების გაგება;

ა.დ) ზემოხსენებულის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები;

ბ) კონსულტაციის წარმართვა ექიმსა და პაციენტს შორის ნდობაზე, თანასწორობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, პაციენტის ავტონომიის პატივისცემის გათვალისწინებით; ამისათვის აუცილებელია:

ბ.ა) პაციენტზე ორიენტირებული კონსულტაციის მოდელის გამოყენება, რომლის მიზანია მოძიებული ინფორმაციის გასაგები ენით გადაცემა პაციენტისთვის, მისთვის დახმარების აღმოჩენა საკუთარი შეხედულებების, წუხილის და მოლოდინის განსჯაში, მათი შეჯერება ოჯახის ექიმის მიერ შეთავაზებულ გეგმასთან საერთო, შეთანხმებული გადაწყვეტილების და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება;

ბ.ბ) გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის ავტონომიის პატივისცემა;

ბ.გ) პაციენტთან ურთიერთობისას სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება, სახელდობრ, როგორც პაციენტის გრძნობების, ფასეულობების, პრიორიტეტების, ისე საკუთარი ფასეულობების, გრძნობების და დამოკიდებულების გააზრება;

გ) პრიორიტეტების განსაზღვრა და პარტნიორული მოქმედება; ამისათვის აუცილებელია:

გ.ა) ჯანმრთელობის მრავლობითი პრობლემების არსებობისას მათი რანგირების უნარი;

გ.ბ) პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების უნარი;

გ.გ) პაციენტთან ემოციურ სიახლოვესა და აუცილებელ დისტანციას შორის ბალანსის დაცვის უნარი;

დ) ხანგრძლივი, უწყვეტი და კოორდინირებული (სხვა სპეციალისტებთან ერთად) მომსახურების უზრუნველყოფა პაციენტის საჭიროებების შესაბამისად; ამისათვის აუცილებელია:

დ.ა) უწყვეტობის სამი ასპექტის გაგება და მათი გამოყენების უნარი: (1) უწყვეტობა პიროვნულ დონეზე (ერთ პირთან ხანგრძლივი ურთიერთობა), (2) ინფორმაციის უწყვეტობა (პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მუდმივი ხელმისაწვდომობა) და (3) სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა (24 საათი დღეში, 365 დღე წელიწადში);

დ.ბ) პაციენტის დახმარება შრომა-ცხოვრების ადეკვატური ბალანსის გააზრებასა და მიღწევაში;

დ.გ) სამედიცინო ჩანაწერების, დაავადებათა რეგისტრების და სხვა ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება ქრონიკული დაავადებების ეფექტური მართვისათვის, სხვადასხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პაციენტისათვის გაწეული მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფისათვის.

7. სპეციფიკური პრობლემის გადაჭრის უნარი: ოჯახის ექიმის საქმიანობაში უფრო მნიშვნელოვანია პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა, ვიდრე დაავადებაზე ორიენტირებული მიდგომა. განსხვავება ოჯახის ექიმსა და საავადმყოფოში მომუშავე სპეციალისტებს შორის შეიძლება ასე აღიწეროს¹: ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს „გაურკვევლობის“ პირობებში მუშაობა (იგულისხმება დაავადების ადრეული სტადია, როცა დიაგნოზი ნათელი არ არის), ალბათობის განსჯა (იგულისხმება ამა თუ იმ დაავადების არსებობის ალბათობა) და საფრთხის გამორიცხვა (იმ მდგომარეობების დროულად ამოცნობა, რომლებიც საფრთხეს უქმნის პაციენტის სიცოცხლეს); საავადმყოფოს ექიმმა უნდა შეამციროს გაურკვევლობა (იგულისხმება დიაგნოზის დაზუსტება), განსაჯოს ალბათობა და გამორიცხოს შეცდომა. აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

ა) გადაწყვეტილების მიღებისას თემში დაავადების ინციდენტურობის და პრევალენტურობის გათვალისწინება; ამისათვის აუცილებელია:

ა.ა) დაავადების პრევალენტურობის და ინციდენტურობის ცოდნა;

ა.ბ) სამიზნე თემის კარგად ცოდნა (დემოგრაფიული და ქრონიკული დაავადებების სტატისტიკური მონაცემები);

ა.გ) გადაწყვეტილების მიღების ტექნიკის ფლობა;

ბ) ანამნეზის შეკრების, ფიზიკური გასინჯვის, გამოკვლევების ჩატარებისას ინფორმაციის სელექციური, მიზნობრივი შეგროვება და ინტერპრეტაცია, მისადაგება სამოქმედო გეგმასთან პაციენტთან თანამშრომლობის გზით; ამისათვის აუცილებელია:

¹ Marinker M and Peckham P J (eds). *Clinical Futures* London: BMJ Books, 1998.

ბ.ა) ანამნეზის შეკრების და ფიზიკური გასინჯვის უნარ-ჩვევები, მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი;

ბ.ბ) ჯანმრთელობის კონკრეტული პრობლემის შესაბამისი კითხვების დასმის (ანამნეზის შეგროვებისას), საჭირო ფიზიკური გასინჯვის მეთოდებისა და პარაკლინიკური მეთოდების შერჩევის, მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი;

ბ.გ) პაციენტის თავისებურებების გათვალისწინება – ოჯახი, სოციალური და სამუშაოსთან დაკავშირებული ფაქტორები;

ბ.დ) არსებული სადიაგნოზო და სამკურნალო რესურსების ცოდნა;

ბ.ე) დაავადების მართვის გეგმაში პაციენტის ჩართვის სურვილი და უნარი.

გ) სპეციფიკური სამუშაო პრინციპების გათავისება, როგორცაა, მაგალითად, გამოკვლევების ეტაპობრივი (მარტივიდან რთულისკენ) გამოყენება, დროის, როგორც იარაღის გამოყენება, ტოლერანტულობის გამომუშავება გაურკვევლობის მიმართ; ამისათვის აუცილებელია:

გ.ა) ინტერესის, გულმოდგინების და ყურადღების უნარის გამომუშავება;

გ.ბ) ეტაპობრივი მიდგომის გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას, დროის, როგორც იარაღის გამოყენება დიაგნოზისა და მკურნალობის ოპტიმალური გზების შერჩევაში;

გ.გ) გააზრება და შეგუება იმ ფაქტთან, რომ პირველად ჯანდაცვაში პრობლემის გადაჭრისას მეტ-ნაკლები გაურკვევლობა გარდაუვალია; ოჯახის ექიმს უნდა ჰქონდეს აღნიშნული გაურკვევლობის პირობებში მუშაობისა და შესაბამისი სტრატეგიის გამომუშავების უნარი;

დ) გადაუდებელი ჩარევა საჭიროებისას; ამისათვის აუცილებელია:

დ.ა) გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკური უნარი გადაუდებელი მდგომარეობების არსებობისას;

დ.ბ) პირველად ჯანდაცვაში არსებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვისთვის აუცილებელი მანიპულაციების ჩატარების უნარ-ჩვევები;

ე) დაავადებების მართვა მათი განვითარების ადრეულ, არადიფერენცირებულ სტადიაზე; ამისათვის აუცილებელია:

ე.ა) ცოდნა იმისა, თუ როდის შეიძლება მოცდა და დაკვირვება და როდის არის აუცილებელი დამატებითი სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების გამოყენება;

ე.ბ) სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ეფექტური და რაციონალური გამოყენება; ამისათვის აუცილებელია:

ე.ა) ცოდნა და გააზრება იმისა, რომ სიმპტომების და ნიშნების, აგრეთვე დამატებითი გამოკვლევის მეთოდების პროგნოზული ღირებულება ფართო საზღვრებში მერყეობს;

ე.ბ) სხვადასხვა სადიაგნოზო მეთოდის ხარჯეფექტურობის ცოდნა და გააზრება.

8. ყოვლისმომცველი მიდგომა: აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

ა) ერთდროულად მრავლობითი ჩივილის და პათოლოგიური მდგომარეობის (როგორც ქრონიკული, ისე მწვავე პრობლემების) მართვა; ამისათვის აუცილებელია:

ა.ა) კომორბიდულობის კონცეფციის ცოდნა და გაგება;

ა.ბ) ერთდროულად არსებული სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემის მართვა მათი ამოცნობის და გაანალიზების, აგრეთვე პაციენტთან შეთანხმების და პრიორიტეტების განსაზღვრის გზით;

ა.გ) სამედიცინო ჩანაწერების და სხვა ინფორმაციის გამოყენების უნარი;

ა.დ) მოცემული დროისთვის არსებული საუკეთესო მტკიცებულებების მოძიების და გამოყენების უნარი;

ბ) ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის სტრატეგიების გამოყენება; ამისათვის აუცილებელია:

ბ.ა) ჯანმრთელობის კონცეფციის გაგება;

ბ.ბ) ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა ინდივიდუალურად, ცალკეული კონსულტაციის ფარგლებში;

ბ.გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობის და დაავადებათა პრევენციის პროგრამების პირველად ჯანდაცვაში განხორციელების გზით;

ბ.დ) ოჯახის ექიმის როლის გაგება თემში ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის;

ბ.ე) ინდივიდისა და თემის საჭიროებებს შორის შესაძლო დაპირისპირების გაგება და ამ დაპირისპირების მნიშვნელობის გააზრება;

გ) ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობის, პრევენციის, მკურნალობის, მოვლის, რეაბილიტაციის და პალიატიური მზრუნველობის კოორდინაცია და მართვა; ამისათვის აუცილებელია:

გ.ა) ზოგად პრაქტიკაში ჯანმრთელობის პრობლემების კომპლექსური ბუნების გაგება;

გ.ბ) მრვლობითი, განსხვავებული მიდგომების არსებობის შესაძლებლობის გაგება;

გ.გ) ცალკეული პაციენტისათვის განსხვავებული მიდგომის გამოყენება და მისი შეცვლა, საჭიროებისამებრ;

გ.დ) გუნდის მუშაობის კოორდინაცია პირველად ჯანდაცვაში.

9. თემზე ორიენტაცია: აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

ა) ცალკეული პაციენტისა და თემის ჯანმრთელობის საჭიროებების შეთავსება-შეჯერება და გათვალისწინება არსებული რესურსების განაწილებისას; ამისათვის აუცილებელია:

ა.ა) თემის ჯანმრთელობის საჭიროებების გაგება სამიზნე მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების ცოდნის საფუძველზე;

ა.ბ) ჯანმრთელობასა და სოციალურ გარემოს შორის ურთიერთკავშირის გაგება;

ა.გ) სამიზნე თემის ჯანმრთელობაზე სიღარიბის, ეთნიკურობის და ადგილობრივი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გავლენის გაგება;

ა.დ) სამედიცინო მომსახურებაში არსებული უთანაბრობის აღქმა;

ა.ე) არსებული ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და მისი რესურსების ფარგლების გაგება;

ა.ვ) თემის ჯანმრთელობის საკითხებში ჩართული სხვა პროფესიონალების როლის გაგება;

ა.ზ) გაგება იმისა, თუ როგორ შეუძლიათ პაციენტს და ექიმს გამოიყენონ ჯანდაცვის არსებული სისტემა;

ა.თ) ინდივიდის საჭიროებების შეჯერება თემის საჭიროებებთან;

ა.ი) ოჯახის ექიმის როლის გაგება პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების ორგანიზებაში.

10. პოლისტური მიდგომა: აღნიშნული კომპეტენცია მოიცავს შემდეგ უნარებს:

ა) ბიოფსიქოსოციალური მიდგომის გამოყენება; ამისათვის აუცილებელია:

ა.ა) პოლისტიკის კონცეფციის ცოდნა და მისი მნიშვნელობის გააზრება პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწვევისათვის;

ა.ბ) პაციენტის, როგორც ბიოფსიქოსოციალური „ერთობის“, აღქმა;

ა.გ) პოლისტური გაგების პრაქტიკულ ღონისძიებებში განხორციელების უნარი;

ა.დ) პაციენტის კულტურული თავისებურებების გათვალისწინება, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს პაციენტის სამედიცინო მომსახურებისათვის;

ა.ე) პაციენტის გამოცდილების, განცდის, რწმენის, ფასეულობების და მოლოდინის გაგება და აღქმა, რასაც მნიშვნელობა აქვს სამედიცინო მომსახურების გაწვევისთვის.

11. ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები:

ა) ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს ნებისმიერი პაციენტის, ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის პირველადი შეფასება და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს გადაუდებელი დახმარების საჭიროების ამოცნობას და შესაბამის მოქმედებას, კერძოდ:

ა.ა) გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას ექიმის სამუშაო ადგილზე ან ბინაზე სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობების დროს (იხ. ცხრილი 1) და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებას ან;

ა.ბ) გადაუდებელ რეფერალს (სხვა სპეციალისტთან მიმართვა ან ჰოსპიტალიზაცია);

ბ) ოჯახის ექიმი დაავადების პირველადი შეფასების შემდეგ აგრძელებს იმ დაავადებების მართვას, რომელიც მის კომპეტენციას შეესაბამება (იხ. თავი 4). აღნიშნული დაავადების მართვისას ის თანამშრომლობს, ფაქტობრივად, ყველა სპეციალისტის ექიმთან, რომლებთანაც ოჯახის ექიმი საჭიროებისას პაციენტს პერიოდულად კონსულტაციისთვის აგზავნის;

გ) იმ დაავადებების და მდგომარეობების დროს, რომელებიც, ერთი მხრივ, არ საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ შედის ოჯახის ექიმის მიერ სამართავ ჩამონათვალში ექვემდებარება რეფერალს შესაბამისი სპეციალისტის ექიმთან პირველადი ან მეორეული, ან მესამეული დონის დაწესებულებაში.

დ) ოჯახის ექიმის კომპეტენცია გადაუდებელი დახმარების გაწევისას:

○ მდგომარეობის შეფასება, სასწრაფო დახმარების გამოძახების საჭიროების დადგენა და საჭიროებისას მისი გამოძახების უზრუნველყოფა, პირველადი დახმარების დაწყება;

○ ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნება და კარდიოპულმონური რეანიმაცია, ჩვენებისას დეფიბრილაციის ჩატარების ჩათვლით;

○ პერიფერიული ვენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წამლებისა და საინფუზიო ხსნარებისთვის (ივ. კანულირება);

○

○ ზოგადი სიმპტომური თერაპია;

– უანგბადის მიწოდება ჩვენების მიხედვით;

– ინტრავენურად ხსნარების ინფუზიის დაწყება ჩვენების მიხედვით;

– სხეულის ტემპერატურის ნორმალიზება და შენარჩუნება (გათბობა ან გაგრილება);

– ტკივილის მართვის დაწყება ჩვენების მიხედვით;

○

○ ჯანმრთელობის პრობლემის შესაბამისი (სპეციფიკური) დახმარების დაწყება სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე;

– შოკი (ჰიპოვოლემიური, ნეიროგენული, კარდიოგენური, ანაფილაქსიური, სეპტიკური);

– ცნობიერების დარღვევა, კომა;

– მწვავე ცერებროვასკულური დაავადებები;

– ცნს-ის მწვავე ინფექციური და ანთებითი დაავადებები, მენინგიტის ჩათვლით;

– გულყრა;

– ეპილეფსიური სტატუსი;

– მწვავე თავის ტკივილი;

- ხერხემლის მალეობის კომპრესია;
- მხედველობის მწვავე დაკარგვა;
- ჩვილის უეცარი სიკვდილის სინდრომი;
- მწვავე ცნობიერების აშლის მდგომარეობა;
- პანიკური შეტევა;
- ისტერია;
- თვითმკვლელობის მცდელობა;
- ფსიქიკური დაავადებით შეპყრობილთა გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
- ალკეითის სინდრომი (ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხსნის სინდრომი);
- გულის გაჩერება (ცარდიაც არრესტ);
- სიცოცხლისთვის საშიში არითმია;
- მწვავე კორონარული სინდრომი;
- გულმკერდისა და მუცლის აორტის ანევრიზმის განშრეგება და გასკდომა;
- მწვავე რესპირაციული დისტრესი;
- ფილტვის არტერიის ემბოლია;
- გამონაჟონი პლევრის ღრუში, ემპიემა, პნევმოთორაქსი;
- ასთმა, ასთმური სტატუსი;
- სისხლდენა შინაგანი ორგანოებიდან;
- ექტოპიური ორსულობა;
- მოსალოდნელი ან სპონტანური აბორტი;
- ნაადრევი მშობიარობა;
- პრეეკლამფსია და ეკლამფსია;
- სათესლე ბაგირაკის მწვავე შემოგრება;
- პარაფიმიოზის და პრიაპიზმის გადაუდებელი მართვა;
- შარდის მწვავე შეკავება;
- თირკმლის კოლიკა;
- ანაფილაქსია;
- მწვავე ინფექციებით გამოწვეული მდგომარეობები, რომლებიც გადაუდებელ დახმარებას საჭიროებენ;
- მწვავე ინტოქსიკაცია, მიუხედავად გამომწვევისა (მათ შორის, მწვავე ინტოქსიკაცია – გამომწვეული ალკოჰოლით, ოპიოიდებით, კანაბინოიდებით და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებებით);
- ტრავმა, მიუხედავად დაზიანების ადგილისა და მექანიზმისა;
- დამწვრობა (ქიმიური, თერმული, ელექტრული);
- სასიკვდილო ელექტროტრავმა, მეხის დაცემა;
- დახრჩობა და ჩაძირვა წყალში;
- სითბური დაკვრა და მზის დაკვრა, სითბური სინკოპე, სითბური კრუნჩხვა;
- ჰიპოთერმია;
- მოყინვა;
- ნაკბენი, ადამიანისა და ცხოველის;

– ძალადობის მსხვერპლი;

– მასობრივი, გარემოსთან დაკავშირებული/ბუნებრივი კატასტროფების თანმხლები მდგომარეობები.

12. სპეციალობა მოიცავს ქვემოთაღნიშნულ დაავადებებს, პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას:

ა) ოჯახის ექიმი მის კომპეტენციაში შემავალ ჯანმრთელობის პრობლემებს მართავს ან დამოუკიდებლად ან სხვა სპეციალობის ექიმებთან თანამშრომლობის გზით. ყველა შემთხვევაში ოჯახის ექიმი თანამშრომლობს პირველადი ჯანდაცვის გუნდის წევრებთან;

ბ) ერთი და იგივე დაავადება, მისი მიმდინარეობის თავისებურებიდან (სტადია, გართულებები) გამომდინარე, ოჯახის ექიმმა შეიძლება მართოს თვითონ (ან დამოუკიდებლად, ან სხვა ექიმთან თანამშრომლობის საფუძველზე), ან მიმართოს სხვა სპეციალობის ექიმთან;

გ) რეფერალის საჭიროებების ზოგადი დახასიათება მოცემულია თავში 8 „იმ სპეციალობათა და შესაბამისი სუბსპეციალობების (სპეციალიზაციების) ჩამონათვალი, რომელთადაც კონკრეტულ დარგს შესაძლებელია ჰქონდეს საერთო/საზიარო კომპეტენციები და აღწერდეს მათ შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესაძლებლობებს პირველადი ჯანდაცვის, ზოგადი პროფილის ჰოსპიტალური და მაღალტექნოლოგიური სერვისების სპეციფიკის გათვალისწინებით“;

დ) ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი, რომლის დროსაც ოჯახის ექიმი დაავადებას მართავს დამოუკიდებლად ან მიმართავს სხვა სპეციალისტთან:

და) ესენციური არტერიული ჰიპერტენზია ოჯახის ექიმმა დამოუკიდებლად უნდა მართოს. ამასთან, რეზისტენტული ჰიპერტენზიის შემთხვევებში ოჯახის ექიმმა შეიძლება გამოიყენოს რეფერალი სხვა სპეციალობის ექიმთან;

დბ) გასტროეზოფაგური რეფლუქს-დაავადების (გერდ) მართვა ოჯახის ექიმმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს; თუმცა, წარუმატებელი მკურნალობის შემთხვევაში ოჯახის ექიმი პაციენტს მიმართავს სხვა სპეციალობის ექიმთან;

ე) დაავადებათა პრევენცია ოჯახის ექიმის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია. ოჯახის ექიმი ეწევა, ფაქტობრივად, ყველა დაავადების პირველად პრევენციას (პროფილაქტიკას) და იმ დაავადებათა მეორეულ პრევენციას, რომელთა სკრინინგის რესურსი ოჯახის ექიმს აქვს (არტერიული ჰიპერტენზია, სიმსუქნე, დისლიპიდემია და ა.შ.). ოჯახის ექიმი იცნობს დაავადებათა მეორეული პრევენციის ყველა შესაძლებლობას. ამასთან, სკრინინგის იმ მეთოდებს, რომლებიც ქვეყანაში არ არის დანერგილი ან არ არის მისი გამოყენების შესაძლებლობა ქვეყნის მასშტაბით, ან სკრინინგის პროგრამებისათვის შექმნილია დამოუკიდებელი ქსელი (ე.წ. სკრინინგის ცენტრები), ოჯახის ექიმი ან არ იყენებს ან სკრინინგისთვის მიმართავს სპეციალიზებულ დაწესებულებაში. ოჯახის ექიმი ახორციელებს, ფაქტობრივად, ყველა ქრონიკული დაავადების მესამეულ პრევენციას ან დამოუკიდებლად ან შესაბამისი სპეციალობის ექიმთან თანამშრომლობის საფუძველზე;

ვ) ქვემოთ მოცემულია იმ დაავადებების და ჯანმრთელობის პრობლემების ჩამონათვალი, რომელთა მართვა ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად ან სხვა სპეციალობის ექიმებთან თანამშრომლობის საფუძველზე;

ზ) ჯანმრთელ პირთა მეთვალყურეობა: ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია:

ზ.ა) პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენციის პრინციპები;

ზ.ბ) პრევენციული ღონისძიებები ბავშვებსა და ხანდაზმულებისთვის იხ. შესაბამისი ჩამონათვალი („ბავშვთა ჯანმრთელობა“, „ხანდაზმულ პირთა ჯანმრთელობა“);

ზ.გ) 15-დან 65 წლამდე ასაკის ჯანმრთელ პირთა მეთვალყურეობა: თამბაქოს წვევა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სიმსუქნე, ადინამია/ჰიპოდინამია, დისლიპიდემია, სკრინინგი ჰიპერტენზიაზე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შეფასება, შაქრიანი

დიაბეტი, კიბოს პრევენცია (საშივილოსნოს ყელის კიბო, სარძევე ჯირკვლის კიბო, წინამდებარე ჯირკვლის კიბო, მსხვილი ნაწლავის კიბო);

თ) ქალთა ჯანმრთელობა:

თ.ა) სიმპტომების მართვა:

თ.ა.ა) მკერდის ტკივილი, სიმაგრე მკერდში, გამონადენი დვრილიდან;

თ.ა.ბ) ვუღვის ქავილი, გამონადენი საშოდან;

თ.ა.გ) დისპარუნია, ტკივილი მენჯის არეში, ენდომეტრიოზი;

თ.ა.დ) ამენორეა, მენორაგია, დისმენორეა, ინტერმენსტრუალური სისხლდენა, არარეგულარული სისხლდენა, პოსტმენოპაუზური სისხლდენა, პრემენსტრუალური სინდრომი, მენოპაუზა და მასთან დაკავშირებული პრობლემები;

თ.ა.ე) უშივილობა – პირველადი და მეორეული;

თ.ა.ვ) დიზურია, შარდის შეუკავებლობა;

თ.ა.ზ) ფეკალური შეუკავებულობა;

თ.ა.თ) ემოციური პრობლემები, დეპრესიის სიმპტომების ჩათვლით;

თ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

თ.ბ.ა) საშოს ყელის ნაცხი – გადახრა ნორმიდან;

თ.ბ.ბ) საშოს და საშივილოსნოს პროლაფსი;

თ.ბ.გ) ფიბრომები;

თ.ბ.დ) გინეკოლოგიური ინფექციები, ბართოლინის აბსცესის და სქესობრივად გადამდები დაავადებების ჩათვლით;

თ.ბ.ე) გინეკოლოგიური სიმსივნეები;

თ.ბ.ვ) სპონტანური აბორტი;

თ.ბ.ზ) საშივილოსნოსგარე ორსულობა;

თ.ბ.თ) ტროფობლასტური დაავადება;

თ.ბ.ი) ნორმალური ორსულობა, ორსულობასთან დაკავშირებული პრობლემები – ჰიპერემეზისი, წელის ტკივილი, ბოქვენის სიმფიზის დისფუნქცია, ორსულობა მრავლობითი ნაყოფით, ზრდაში ჩამორჩენა, პრეეკლამფსია, მშობიარობის წინა ჰემორაგია, ნაადრევი მშობიარობა, პოლიჰიდრამნიოზი, პლაცენტის წინმდებარეობა, ღრმა ვენების თრომბოზი და პულმონური ემბოლია, დაგვიანებული მშობიარობა, ნაყოფის მოძრაობის დაქვეითება, ინტრაუტერული ინფექცია, ინტრაუტერული სიკვდილი, ნაყოფის ანომალია;

თ.ბ.კ) ორსულობის დროს წამლით მკურნალობის თავისებურებები;

თ.ბ.ლ) სექსუალური დარღვევები, ფსიქოსექსუალური მდგომარეობების ჩათვლით;

თ.ბ.მ) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, შფოთვის, დეპრესიის, სუიციდის, კვების

აშლილობის ჩათვლით, ამ აშლილობების კავშირი ორსულობასა და მენოპაუზასთან;

თ.ბ.ნ) მენოპაუზის მართვა, ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის ჩათვლით;

თ.ბ.ო) ტკივილის და სხვა სიმპტომების მართვა, პალიატიური მზრუნველობა ქალებში;

თ.გ) პრევენცია:

თ.გ.ა) ორსულობისათვის მზადება: კონტრაცეპტივების შეწყვეტა, ფოლიუმის მჟავის გამოყენება, ოჯახური და გენეტიკური ანამნეზი, ცხოვრების წესი და ა.შ.;

თ.გ.ბ) პრევენცია ორსულობის დროს: ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა, სოციალური და კულტურული ფაქტორები, თამბაქოს წვევა და ალკოჰოლის მიღება, ასაკთან დაკავშირებული საკითხები, წინა სამეანო ანამნეზი, დიაბეტი და სიმსუქნე, რეზუს-ფაქტორი, ანტიდეპრესანტების გამოყენება, ჰიპერტენზია და სხვა დაავადებები ორსულობის დროს, ანემია, გასტროეზოფაგური რეფლუქსი, ფეხების ტკივილი და ქვემო კიდურების

ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ჰემოროიდული ვენები, გამოკვლევა წითურაზე და იმუნისაცია;

თ.გ.ე) ოსტეოპოროზის რისკის შეფასება, სკრინინგი და მართვა;

ი) ბავშვთა ჯანმრთელობა:

ი.ა) სიმპტომების მართვა;

ი.ბ) ღებინება, ცხელება, ძილიანობა, განვითარების შეფერხება, ახალშობილთა კოლიკა, ზრდის დარღვევები, ქცევის პრობლემები;

ი.ბ.ა) გაგრძელებული მდგომარეობების მართვა:

ი.ბ.ბ) ახალშობილთა პრობლემები: სამშობიარო ტრავმის შემდეგომი პერიოდი, კვების პრობლემები, გულის შუილები, გამონადენი თვალიდან, სიყვითლე;

ი.ბ.გ) შეკრულობა, მწვავე და განმეორებითი მუცლის ტკივილი;

ი.ბ.დ) ცხელება, ფებრილური გულყრები;

ი.ბ.ე) ხველა, ქოშინი, მსტენინავი ხიხინი, რესპირატორული ინფექციები, ბრონქიოლიტი;

ი.ბ.ვ) შუა ყურის ანთება;

ი.ბ.ზ) სენსორული დეფიციტი, სიყრუე;

ი.ბ.თ) გასტროენტერიტი;

ი.ბ.ი) ვირუსული ეგზანთემა;

ი.ბ.კ) საშარდე გზების ინფექცია;

ი.ბ.ლ) მენინგიტი;

ი.ბ.მ) ეპილეფსია;

ი.ბ.ნ) ქრონიკული დაავადებები: ასთმა, დიაბეტი, ართრიტი, სწავლის პრობლემები;

ი.ბ.ო) ძალადობა ბავშვზე;

ი.ბ.პ) ფსიქიკური პრობლემები – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი, დეპრესია, კვების აშლილობა, მოკიდებულება, თვითდაზიანება, აუტიზმი და მასთან დაკავშირებული დარღვევები;

ი.ბ.ჟ) ფსიქოლოგიური პრობლემები: ენურეზი, ენკოპრეზი, „დაშინება“, პრობლემები სკოლაში, ქცევის პრობლემები „ტანტრუმის“ ჩათვლით;

ი.გ) პრევენციული ღონისძიებები:

ი.გ.ა) პრენატალური დიაგნოზი;

ი.გ.ბ) ძუძუთი კვება, ჯანსაღი კვება და ფიზიკური აქტიურობა;

ი.გ.გ) სოციალური და ემოციური კეთილდღეობა;

ი.გ.დ) ბავშვთა უსაფრთხოება, ბავშვის დაცვა და ტრავმის პრევენცია;

ი.გ.ე) იმუნისაცია;

ი.გ.ვ) თამბაქოს წვევის, ალკოჰოლის მიღებისა და წამალდამოკიდებულების თავიდან აცილება;

ი.გ.ზ) მოზარდების დაცვა ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყებისგან და მასთან დაკავშირებული პრობლემებისგან;

კ) მამაკაცთა ჯანმრთელობა:

კ.ა) სიმპტომების მართვა:

კ.ა.ა) დიზურია;

- კ.ა.ბ) ნიქტურია;
- კ.ა.გ) ჰემატურია;
- კ.ა.დ) პროსტატიზმი;
- კ.ა.ე) შარდის შეკავება;
- კ.ა.ვ) ტკივილი წელის და ჰიპოგასტრიუმის არეში;
- კ.ა.ზ) სათესლე ჯირკვლის შესიება;
- კ.ა.თ) ორქაღვია;
- კ.ა.ი) ასოს ტკივილი, დაწულულება;
- კ.ა.კ) ერექციის დარღვევა;
- კ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - კ.ბ.ა) მამაკაცთათვის დამახასიათებელი ონკოლოგიური დაავადებები – სათესლის და პროსტატის კიბო;
 - კ.ბ.ბ) პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერტროფია/ჰიპერპლაზია და პროსტატიტი;
 - კ.ბ.გ.) სათესლეების სხვა დაავადებები: კრიპტორქიზმი, ვარიკოცელე, ჰემატოცელე, ჰიდროცელე, ეპიდიდიმორქიტი და ეპიდიდმიტი;
 - კ.ბ.დ) სექსუალური დარღვევები, ფსიქოსექსუალური დარღვევების ჩათვლით;
 - კ.ბ.ე) მამაკაცის კონტრაცეფცია და უშვილობა;
 - კ.ბ.ვ) ცირკუმციზია;
 - კ.ბ.ზ) ფსიქიკური დარღვევები, დეპრესიის, სუიციდისა და ანდროპაუზის ჩათვლით;
 - კ.ბ.თ) სქესობრივად გადამდები დაავადებები;
- კ.გ) პრევენცია:
 - კ.გ.ა) განათლება ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ: თამბაქო, ალკოჰოლი, წამალდამოკიდებულება, სექსუალური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა;
 - ლ) ხანდაზმულ პირთა ჯანმრთელობა;
 - ლ.ა) შეფასება:
 - ლ.ა.ა) ხანდაზმული პაციენტის მდგომარეობის შეფასება, ჯანმრთელობის პრობლემების ამოცნობა, გერიატრიული სინდრომების ამოცნობა, სამედიცინო მომსახურების პრიორიტეტების განსაზღვრა – მწვავე და ქრონიკული დაავადებების მართვა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;
 - ლ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - ლ.ბ.ა) ქრონიკული დაავადებების მართვა (მაგ., არტ. ჰიპერტენზია, გულის უკმარისობა, ცერებროვასკულური დაავადებები, ჰიპოთირეოზი, დიაბეტი, ნეიროდეგენერაციული დაავადებები და ა.შ.);
 - ლ.ბ.ბ) გერიატრიული სინდრომების მართვა;
 - ლ.ბ.გ) ტერმინალური მდგომარეობაში მყოფი ხანდაზმულისათვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევა (იხ. პალიატიური მზრუნველობა);
 - ლ.გ) პრევენციული ღონისძიებები:
 - ლ.გ.ა) პირველადი პრევენცია: რისკფაქტორების შეფასება; ფიზიკური აქტიურობის რჩევა და ხელშეწყობა; იმუნიზაციის საჭიროების განსაზღვრა და ორგანიზება (მაგ. გრიპის, პნევმონიის პრევენცია – ვაქცინაცია გრიპის ვირუსის და პნევმოკოკური ინფექციის წინააღმდეგ); დაცემის და მოტეხილობის პრევენცია; ოსტეოპოროზის პრევენცია;

ლ.გ.ბ) მეორეული პრევენცია: კიბოს სკრინინგის პროგრამების შერჩევა და განხორციელება ასაკის მიხედვით; სხვა სკრინინგული ღონისძიებები (ჰიპერტენზია, ჰიპერქოლესტერინემია, დიაბეტი, ოსტეოპოროზი, დელირიუმი, წონის დეფიციტი);

ლ.გ.გ) მესამეული პრევენცია: გავრცელებული ქრონიკული დაავადებების მესამეული პრევენცია (დიაბეტი, ინსტულტი და სხვ.);

ლ.გ.დ) გერიატრიული სინდრომების პრევენცია: ცნობიერების დარღვევა-დაქვეითება; დაცემა; ფიზიკური აქტიურობის შეზღუდვა; სიარულის და ბალანსის დარღვევა; შარდის შეუკავებლობა; სარკოპენია და წონის დაკარგვა; სოციალური აქტიურობის დაქვეითება, დეპრესია;

ლ.გ.ე) იატროგენული დაავადებების (მაგ., მედიკამენტებით გამოწვეული, ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული) პრევენცია ხანდაზმულებში;

მ) გადაუდებელი მედიცინა და ტრავმა;

მ.ა) იხ. გადაუდებელი მდგომარეობების მართვა: ცხრილი 1;

ნ) გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები:

ნ.ა) სიმპტომების მართვა:

ნ.ა.ა) ტკივილი გულმკერდის არეში: კარდიოვასკულური პათოლოგიით გამოწვეული მდგომარეობები (მაგ., გიდ, პერიკარდიტი, აორტის განშრეგება) და მათი გამიჯნვა არაკარდიოვასკულური პათოლოგიისგან (ძვალკუნთოვანი ტკივილი, რესპირატორული, გასტროინტესტინური და ფსიქოლოგიური პრობლემები);

ნ.ა.ბ) ქოშინი (გულის უკმარისობა, რესპირატორული პრობლემები, თრომბოემბოლია, ანემია, სიმსუქნე, ავთვისებიანი სიმსივნეები);

ნ.ა.გ) კოჭ-წვივის შეშუპება (გულის უკმარისობა, თრომბოემბოლია, ვენური შეგუბება, ვენების ვარიკოზი, ღრმა ვენების თრომბოზი, ფეხის წყლული, ლიმფედემა, ანემია, სიმსუქნე, ავთვისებიანი სიმსივნე, ჰიპოპორტინემია);

ნ.ა.დ) პერიფერიული სისხლძარღვების (არტერიები და ვენები) დაზიანებით გამოწვეული სიმპტომები ან ნიშნები;

ნ.ა.ე) გულისფრიალი და ასიმპტომური არითმია;

ნ.ა.ვ) ცერებროვასკულური დაავადებების სიმპტომები და ნიშნები;

ნ.ა.ზ) კოლაფსი;

ნ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

ნ.ბ.ა) არტერიული ჰიპერტენზია;

ნ.ბ.ბ) გულის იშემიური (კორონარული) დაავადება (სტენოკარდია, მწვავე კორონარული სინდრომი, გულის გაჩერება – „cardiac arrest“);

ნ.ბ.გ) გულის უკმარისობა;

ნ.ბ.დ) არითმია (ექსტრასისტოლია, წინაგულების ციმციმი და თრთოლვა, ვიწრო და ფართოკომპლექსოვანი ტაქიკარდიები, ბრადიარითმიები);

ნ.ბ.ე) გულის სხვა დაავადებები (სარქველოვანი პათოლოგია, მიოკარდიუმის და ენდოკარდიუმის დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები);

ნ.ბ.ვ) პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებები (არტერიების და ვენების);

ნ.ბ.ზ) ცერებროვასკულური დაავადებები (ინსულტი და გარდამავალი/ტრანზიტორული იშემიური შეტევა);

ნ.ბ.თ) თრომბოემბოლიური დაავადება;

ნ.გ) პრევენცია:

ნ.გ.ა) სისხლის არტერიული წნევა, ლიპიდები, თამბაქოს წევა, ფიზიკური აქტიურობა, სიმსუქნე, დიეტა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება;

ნ.გ.ბ) კომორბიდობის მართვა (განსაკუთრებით დიაბეტი);

ნ.გ.გ) რისკის შეფასება;

ო) სუნთქვის სისტემის დაავადებები:

ო.ა) სიმპტომების მართვა:

ო.ა.ა) ჰაერის უკმარისობა;

ო.ა.ბ) ხველა;

ო.ა.გ) ნახველის გამოყოფა;

ო.ა.დ) სისხლიანი ხველა;

ო.ა.ე) ყელის ტკივილი;

ო.ა.ვ) ტკივილი გულმკერდის არეში;

ო.ა.ზ) ხმაურიანი სუნთქვა;

ო.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

ო.ბ.ა) ზედა სასუნთქი გზების ინფექციები: გაციება, ფარინგიტი, ტონზილიტი, პერიტონზილური აბსცესი, ეპიგლოტიტი, ლარინგიტი, ტრაქეიტი;

ო.ბ.ბ) ქვედა სასუნთქი გზების ინფექციები: ბრონქიტი, პნევმონია;

ო.ბ.გ) მწვავე არაინფექციური რესპირატორული პრობლემები (მხოლოდ ამოცნობა და გადაუდებელი მართვა; იხ. ზემოთ): ალერგია-ანაფილაქსია, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, პნევმოთორაქსი, უცხო სხეულის ასპირაცია;

ო.ბ.დ) ქრონიკული არაინფექციური რესპირატორული პრობლემები: ქრონიკული ხველა, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ასთმა, ფილტვების ტუბერკულოზი, მუკოვისციდოზი, ფილტვების ქრონიკული ინტერსტიციული დაავადება;

ო.ბ.ე) ფილტვის კიბო;

ო.გ) პრევენცია:

ო.გ.ა) თამბაქოს მიტოვება;

ო.გ.ბ) იმუნიზაცია;

ო.გ.გ) სუნთქვის სისტემის ქრ. დაავადებების მესამეული პრევენცია;

პ) საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები:

პ.ა) სიმპტომების მართვა:

პ.ა.ა) დისპეფსია;

პ.ა.ბ) ტკივილი მუცლის არეში;

პ.ა.გ) გულისრევა-ღებინება;

პ.ა.დ) უმადობა და წონაში კლება;

პ.ა.ე) სისხლიანი ღებინება და მელენა;

პ.ა.ვ) რექტალური სისხლდენა და ტენეზმები;

პ.ა.ზ) სიყვითლე;

პ.ა.თ) დიარეა;

პ.ა.ი) ყაბზობა;

პ.ა.კ) დისფაგია;

პ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

პ.ბ.ა) გასტროეზოფაგური რეფლუქსდაავადება (გერდ);

- პ.ბ.ბ) პეპტიური წყლული;
- პ.ბ.გ) გასტრიტი;
- პ.ბ.დ) არაწყლულოვანი დისპეფსია;
- პ.ბ.ე) გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი;
- პ.ბ.ვ) გასტროენტერიტი;
- პ.ბ.ზ) ყაბზობა;
- პ.ბ.თ) ცელიაკია;
- პ.ბ.ი) ნაწლავის ანთებითი დაავადებები;
- პ.ბ.კ) კუჭნაწლავის ტრაქტის კიბო – საყლაპავის, კუჭის, ღვიძლის, პანკრეასის, მსხვილი ნაწლავის;
- პ.ბ.ლ) დივერტიკულოზი;
- პ.ბ.მ) მწვავე მუცელი (მაგ., მწვავე აპენდიციტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი);
- პ.ბ.ნ) პერიანალური პათოლოგია (მაგ., ჰემოროიდული ვენების გაგანიერება, პერიანალური ჰემატომა);
- პ.გ) პრევენცია:
- პ.გ.ა) ჯანსაღი კვება, მათ შორის, ხილის სათანადო ულუფების მიღება;
- პ.გ.ბ) თამბაქოს და ალკოჰოლის მიღების შემცირება კიბოს პრევენციისთვის;
- ჟ) საშარდე ორგანოთა სისტემის დაავადებები:
- ჟ.ა) სიმპტომების და ნიშნების ამოცნობა:
- ჟ.ა.ა) დიზურია;
- ჟ.ა.ბ) ოლიგურია და ანურია;
- ჟ.ა.გ) პოლიურია, ნიქტურია;
- ჟ.ა.დ) ჰემატურია;
- ჟ.ა.ე) თირკმლის კოლიკა;
- ჟ.ა.ვ) შარდის შეუკავებლობა;
- ჟ.ა.ზ) ურეთრალური სინდრომი;
- ჟ.ა.თ) ნეფროზული სინდრომი;
- ჟ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
- ჟ.ბ.ა) ქვემო საშარდე გზების ინფექცია;
- ჟ.ბ.ბ) პიელონეფრიტი;
- ჟ.ბ.გ) პროსტატიტი;
- ჟ.ბ.დ) შარდკენჭოვანი დაავადება;
- ჟ.ბ.ე) გლომერულონეფრიტი;
- ჟ.ბ.ვ) ფიმოზი, პარაფიმოზი;
- ჟ.ბ.ზ) კრიპტორქიზმი;
- ჟ.ბ.თ) თირკმლის ტოქსიკური დაზიანება;
- ჟ.ბ.ი) თირკმლისა და საშარდე გზების თანდაყოლილი ანომალიები;
- ჟ.ბ.კ) საშარდე ორგანოების ახალწარმონაქმნები, კიბო;
- ჟ.ბ.ლ) შარდის შეუკავებლობა, ენურეზი;
- ჟ.ბ.მ) თირკმლების ქრონიკული უკმარისობა;

ჟ.ბ.ნ) თირკმლისა და საშარდე გზების ტუბერკულოზი;

ჟ.ბ.ო) საშარდე სისტემის გადაუდებელი მდგომარეობების ამოცნობა, პირველი დახმარება და რეფერალი (თირკმლების მწვავე უკმარისობა, თირკმლის კოლიკა და სხვა);

რ) სქესობრივი ჯანმრთელობა:

რ.ა) სიმპტომების მართვა:

რ.ა.ა) გამონაყარი, დაწყლულება სასქესო ორგანოების მიდამოებში;

რ.ა.ბ) უჩვეულო სუნი სასქესო ორგანოებიდან;

რ.ა.გ) გამონადენი ასოდან ან უჩვეულო გამონადენი საშოდან;

რ.ა.დ) დიზურია;

რ.ა.ე) მუცლის ქვედა არეში ტკივილი ქალებში;

რ.ა.ვ) სათესლე ჯირკვლის ტკივილი და შესიება;

რ.ა.ზ) მტკივნეული კოიტუსი;

რ.ა.თ) ინტერმენსტრუალური სისხლდენა;

რ.ა.ი) ვაგინალური სისხლდენა კოიტუსის შემდეგ;

რ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

რ.ბ.ა) ქვემო საშარდე გზების ინფექცია ქალებში;

რ.ბ.ბ) ბაქტერიული ვაგინოზი;

რ.ბ.გ) კანდიდოზი;

რ.ბ.დ) ქლამიდიური ინფექციები;

რ.ბ.ე) გონორეა;

რ.ბ.ვ) ტრიქომონიაზი;

რ.ბ.ზ) ანოგენიტალური წყლულები: ჰერპესი, სიფილისი, აივ ინფექცია;

რ.ბ.თ) ანოგენიტალური მეჭვჭვები;

რ.ბ.ი) იმუნოდეპრესიის არსებობაზე მიმანიშნებელი მდგომარეობები;

რ.ბ.კ) სიფილისი;

რ.ბ.ლ) რეიტერის სინდრომი;

რ.ბ.მ) აივ/შიდსის ნიშნები და გართულებები;

რ.ბ.ნ) სქესობრივი დარღვევები;

რ.გ) პრევენცია:

რ.გ.ა) სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია;

რ.გ.ბ) სკრინინგი: ქლამიდია, აივ, საშვილოსნოს ყელის დაზიანების;

რ.გ.გ) იმუნიზაცია: ჰეპატიტი;

ს) სისხლის და სისხლმზადი სისტემის დაავადებები:

ს.ა) სიმპტომების და ნიშნების ამოცნობა:

ს.ა.ა) სისხლნაკლებობის ნიშნები;

ს.ა.ბ) ჰემორაგიული დიათეზი;

ს.ა.გ) ჰემატომა;

ს.ა.დ) პეტეჩია;

ს.ა.ე) პურპურა;

- ს.ა.ე) ლიმფადენოპათია;
- ს.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - ს.ბ.ა) ანემიები;
 - ს.ბ.ბ) ჰემორაგიული დიათეზები;
 - ს.ბ.გ) აგრანულოციტოზი;
 - ს.ბ.დ) მწვავე და ქრონიკული ლეიკოზი;
 - ს.ბ.ე) ერითრემია და ერითროციტოზი;
 - ს.ბ.ვ) ლიმფადენოპათია;
 - ს.ბ.ზ) ლიმფოგრანულომატოზი;
 - ს.ბ.თ) ლიმფომა;
 - ს.ბ.ი) მიელომური დაავადება;
- ს.გ) პრევენცია:
 - ს.გ.ა) ანემიის პრევენცია სპეციფიკურ ჯგუფებში (ორსულებში ხანდაზმულები);
 - ს.გ.ბ) ტრავმის პრევენცია სისხლდენის თავიდან ასაცილებლად;
- ტ) ენდოკრინული დაავადებები და მეტაბოლური დარღვევები:
 - ტ.ა) სიმპტომების მართვა:
 - ტ.ა.ა) სიმპტომების ამოცნობა, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს შემდეგი დაავადებების არსებობაზე: დიაბეტი, ჰიპოთირეოზი, ჰიპერთირეოზი, ჰიპერლიპიდემია, ჰიპერურიკემია;
 - ტ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - ტ.ბ.ა) სიმსუქნე;
 - ტ.ბ.ბ) დიაბეტი;
 - ტ.ბ.გ) გლუკოზისადმი ტოლერანტულობის დარღვევა;
 - ტ.ბ.დ) ჰიპოთირეოზი;
 - ტ.ბ.ე) ჰიპერთირეოზი;
 - ტ.ბ.ვ) ჰიპერლიპიდემია;
 - ტ.ბ.ზ) ჰიპერურიკემია;
 - ტ.ბ.თ) ჰიპოფიზის, თირკმელზედა ჯირკვლის და ფარსებრახლო ჯირკვლის დაზიანებების დროული ამოცნობა და რეფერალი;
 - ტ.გ) პრევენცია:
 - ტ.გ.ა) ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევების პრევენცია დიეტისა და ფიზიკური აქტიურობის გზით;
 - ტ.გ.ბ) ჰიპერურიკემიის პრევენციის საჭიროების დადგენა;
 - ტ.გ.გ) მესამეული პრევენცია ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევების დროს: დიაბეტი, სიმსუქნე;
 - უ) შემაერთებელქსოვილოვანი და ძვალკუნთოვანი სისტემის დაავადებები:
 - უ.ა) სიმპტომების მართვა:
 - უ.ა.ა) სახსრების, ძვლებისა და კუნთების ანთების ნიშნები – ტკივილი, შესიება, სიწითლე, ტემპერატურის ადგილობრივი მატება;
 - უ.ა.ბ) ფუნქციის მოშლა – კუნთოვანი სისუსტე, მოძრაობის ფარგლების შეზღუდვა, დეფორმაცია;

უ.ა.გ) სახსრების, ძვლებისა და კუნთების ტრავმული დაზიანების ნიშნები;

უ.ა.დ) სისტემური გამოვლინებები: დაღლა, ნერვის კომპრესია, გამონაყარი;

უ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

უ.ბ.ა) კისრის მწვავე ტკივილი;

უ.ბ.ბ) წელის მწვავე ტკივილი;

უ.ბ.გ) კისრის ქრონიკული ტკივილი;

უ.ბ.დ) წელის ქრონიკული ტკივილი;

უ.ბ.ე) მხრის ტკივილი;

უ.ბ.ვ) მუხლის ტკივილი;

უ.ბ.ზ) რბილი ქსოვილების დაზიანება;

უ.ბ.თ) ოსტეოართრიტი;

უ.ბ.ი) ოსტეოპოროზი;

უ.ბ.კ) სომატიზაცია, ფიბრომიალგია და მსგავსი სინდრომები;

უ.ბ.ლ) მწვავე ართროპათიები;

უ.ბ.მ) ქრონიკული ანთებითი ართროპათიები;

უ.ბ.ნ) რევმატული პოლიმიალგია;

უ.ბ.ო) ქრონიკული დაღლილობა;

უ.ბ.პ) ტრავმული დაზიანება;

უ.გ) პრევენცია:

უ.გ.ა) ვარჯიში და მისი ფორმის და ინტენსიურობის დადგენა;

უ.გ.ბ) ტრავმის პრევენცია;

ფ) ალერგოლოგიური და იმუნოლოგიური პრობლემები:

ფ.ა) სიმპტომების მართვა:

ფ.ა.ა) ალერგიის სიმპტომების და ნიშნების დროული ამოცნობა – ქავილი, გამონაყარი, სურდო, ხველა, სუნთქვის გაძნელება.

ფ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

ფ.ბ.ა) ურტიკარია, ანგიოდედემა;

ფ.ბ.ბ) ასთმა;

ფ.ბ.გ) ალერგიული რინიტი;

ფ.ბ.დ) წამლისმიერი ალერგია;

ფ.ბ.ე) საკვებისმიერი ალერგია;

ფ.ბ.ვ) ალერგიული დერმატიტი;

ფ.ბ.ზ) ანაფილაქსია;

ფ.გ) პრევენცია:

ფ.გ.ა) ალერგიული რეაქციების პირველადი პრევენცია (ალერგენთან შეხების თავიდან აცილება);

ქ) ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები:

ქ.ა) სიმპტომების მართვა:

ქ.ა.ა) ქრონიკული დაღლილობა;

ქ.ა.ბ) უძილობა;

ქ.ა.გ) შფოთვა;

ქ.ა.დ) დეპრესია;

ქ.ა.ე) მრავლობითი სომატური ჩივილები;

ქ.ა.ვ) თავბრუსხვევა;

ქ.ა.ზ) გულის ფრიალი;

ქ.ა.თ) პარესთეზია;

ქ.ა.ი) მუცლის ტკივილი ბავშვებში;

ქ.ა.კ) ფსიქოზის ადრეული ნიშნები;

ქ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

ქ.ბ.ა) დეპრესია;

ქ.ბ.ბ) კვების დარღვევები;

ქ.ბ.გ) შფოთვითი აშლილობები;

ქ.ბ.დ) პოსტტრავმული სტრესული აშლილობა;

ქ.ბ.ე) გადაუდებელი ფსიქიატრიული მდგომარეობების დროული ამოცნობა, პირველადი დახმარება და რეფერალი: სუიციდის მცდელობა, დელირიუმი, ფსიქოზი, პანიკა, აგრესია;

ქ.გ) პრევენცია:

ქ.გ.ა) ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა;

ქ.გ.ბ) აუტოზმის სკრინინგი ბავშვებში, რომლებიც გვიან იწყებენ ლაპარაკს;

ქ.გ.გ) ფსიქოზის ადრეული ამოცნობა;

დ) ნარკოლოგიური პრობლემები:

დ.ა) სიმპტომები და ნიშნები:

დ.ა.ა) ოპიატების მანე მოხმარების ნიშნები;

დ.ა.ბ) სტიმულატორების გამოყენების ნიშნები;

დ.ა.გ) კანაბისოს გამოყენების ნიშნები;

დ.ა.დ) ალკოჰოლის მანე მოხმარებასთან ასოცირებული ნიშნები: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური;

დ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

დ.ბ.ა) ამა თუ იმ საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური გართულებები (ჰერონი, კოკაინი, ალკოჰოლი, კანაბისი);

დ.ბ.ბ) ნარკოტიკული საშუალების მიღების გზებთან დაკავშირებული გართულებები (ინტრავენური, ინჰალაციური);

დ.ბ.გ) ნარკოტიკული საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული ცხოვრების წესთან დაკავშირებული გართულებები.

დ.ბ.დ) აივ ინფექციის, ვირუსული ჰეპატიტების ნიშნების ამოცნობა, მართვის პრინციპები;

დ.ბ.ე) ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული გადაუდებელი მდგომარეობების მართვა – კრუნხვა, დელირიუმი, ფსიქოზი.

დ.გ) პრევენცია:

დ.გ.ა) ამა თუ იმ ფსიქოტროპული საშუალების მოხმარებასთან

დ.გ.ბ) ზიანის პრევენციის სტრატეგიების ცოდნა და გამოყენება;

ე) ნევროლოგიური დაავადებები:

ე.ა) სიმპტომების მართვა:

- ყ.ა.ა) თავის ტკივილი;
- ყ.ა.ბ) თავბრუსხვევა;
- ყ.ა.გ) ტრემორი;
- ყ.ა.დ) ნეიროპათია;
- ყ.ა.ე) კანკალი, ქორეა;
- ყ.ა.ვ) გულყრა;
- ყ.ა.ზ) ძილიანობა;
- ყ.ა.თ) ცნობიერების დაკარგვა, კომა;
- ყ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
- ყ.ბ.ა) ეპილეფსია;
- ყ.ბ.ბ) თავის ტკივილი;
- ყ.ბ.გ) ვერტიგო;
- ყ.ბ.დ) ნეიროპათიული ტკივილი;
- ყ.ბ.ე) მონონეიროპათია;
- ყ.ბ.ვ) პარკინსონიზმი;
- ყ.ბ.ზ) გადაუდებელი ნევროლოგიური მდგომარეობების ამოცნობა და დროული რეფერალი;
- ყ.ბ) პრევენცია:
- ყ.გ.ა) ეპილეფსიის მქონე პირების განათლება და დაზიანებების პრევენცია;
- ყ.გ.ბ) მენინგოკოკური ინფექციის პირველადი პრევენცია ვაქცინაციის გზით;
- ყ.გ.გ) შაკიკის შეტევების პრევენცია;
- ყ.გ.დ) ნევროლოგიური დაავადებების დროული ამოცნობა გენეტიკური წინასწარგანწყობის დროს;
- შ) ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები:
- შ.ა) სიმპტომების მართვა:
- შ.ა.ა) სმენის დაქვეითება;
- შ.ა.ბ) ყურის ტკივილი;
- შ.ა.გ) გამონადენი ყურიდან;
- შ.ა.დ) თავბრუსხვევა;
- შ.ა.ე) შუილი ყურებში;
- შ.ა.ვ) სისხლდენა ცხვირიდან;
- შ.ა.ზ) ყელის ტკივილი;
- შ.ა.თ) ხმის ჩახლეჩა;
- შ.ა.ი) ყლაპვის მოშლა;
- შ.ა.კ) კრუბი;
- შ.ა.ლ) სიმსივნე/შესიება კისრის არეში, მათ შორის, ჩიყვი, ლიმფური ჯირკვლების გადიდება და სხვა;
- შ.ა.მ) მეტყველების შენელება;
- შ.ა.ნ) უცხო სხეულები;
- შ.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:

- შ.ბ.ა) გარე ყურის ანთება;
- შ.ბ.ბ) შუა ყურის ანთება;
- შ.ბ.გ) დაფის აპკის პერფორაცია;
- შ.ბ.დ) ქოლესტეატომა;
- შ.ბ.ე) თავბრუსხვევა, მენიერის დაავადება;
- შ.ბ.ვ) ტემპორომანდიბულური ტკივილი; ტრიგემინური ნევრალგია;
- შ.ბ.ზ) ფარინგიტი, ტონზილიტი, ლარინგიტი;
- შ.ბ.თ) პირის ღრუს სოკოვანი ინფექცია და ჰერპესი;
- შ.ბ.ი) სანერწყვე ჯირკვლების/სადინარის ქვები;
- შ.ბ.კ) ინფექციური და ალერგიული რინიტი;
- შ.ბ.ლ) ცხვირის პოლიპები;
- შ.ბ.მ) სინუსიტი;
- შ.ბ.ნ) ცხვირის მოტეხილობა;
- შ.ბ.ო) ხვრინვა და ძილის აპნოე (ობსტრუქციული);
- შ.ბ.პ) ეჭვი თავების კიბოს არსებობაზე;
- შ.ბ.ჟ) სმენის ცალმხრივი დაქვეითება გარეთა ყურის აშკარა პათოლოგიის არსებობის გარეშე;
- შ.გ) პრევენცია:
 - შ.გ.ა) სმენის დაქვეითების სკრინინგი;
 - შ.გ.ბ) წამლით გამოწვეული ოტოტოქსიკურობის პრევენცია;
- ჩ) თვალის დაავადებები:
 - ჩ.ა) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - ჩ.ა.ა) ქუთუთოსა და საცრემლე სისტემის დაავადებები;
 - ჩ.ა.ბ) სკლერის, რქოვანას და უვეალური ტრაქტის წინა ნაწილის დაავადებები;
 - ჩ.ა.გ) რეფრაქციის დარღვევები;
 - ჩ.ა.დ) გლაუკომა;
 - ჩ.ა.ე) მინისებრი სხეულის და ბადურას დაავადებები;
 - ჩ.ა.ვ) მხედველობის დვრილის დაავადებები;
 - ჩ.ა.ზ) თვალის მოძრაობის და ბინოკულარული მხედველობის დარღვევები;
 - ჩ.ა.თ) თვალის დაზიანების მწვავე დაზიანებები (რომლებიც სწრაფ ამოცნობას, პირველ დახმარებას და/ან რეფერალს საჭიროებს);
 - ჩ.ბ) პრევენცია:
 - ჩ.ბ.ა) თვალის დაზიანების პრევენცია დიაბეტისა და ჰიპერტენზიის დროს;
 - ჩ.ბ.ბ) თვალის დაზიანების გენეტიკური საფუძვლების დადგენა;
- ც) კანის დაავადებები:
 - ც.ა) სიმპტომების მართვა:
 - ც.ა.ა) გამონაყარი;
 - ც.ა.ბ) თმის ცვენა;
 - ც.ა.გ) ფრჩხილების დაზიანება;
 - ც.ა.დ) ქავილი;

- ც.ა.ე) კანის პიგმენტური ლაქები;
- ც.ა.ვ) კანის ინფიცირების ნიშნები;
- ც.ა.ზ) პურპურა;
- ც.ა.თ) კანის და კანქვეშა სიმსივნური წარმონაქმნები;
- ც.ა.ი) ფოტოსენსიტიურობა და წითელი სახე;
- ც.ბ) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - ც.ბ.ა) ეგზემა;
 - ც.ბ.ბ) ფსორიაზი;
 - ც.ბ.გ) გენერალიზებული ქავილი;
 - ც.ბ.დ) ურტიკარია და ვასკულიტი;
 - ც.ბ.ე) აკნე;
 - ც.ბ.ვ) კანის ინფექციები;
 - ც.ბ.ზ) მუნი;
 - ც.ბ.თ) თმის და ფრჩხილის დაზიანება;
 - ც.ბ.ი) წამლით გამოწვეული გამონაყარი;
- ც.გ) პრევენცია:
 - ც.გ.ა) კანის დაზიანების პრევენცია მზის დასხივების შემცირების გზით;
 - ც.გ.ბ) კანის დაზიანების პრევენცია გენეტიკური წინასწარგანწყობის დროს;
 - ც.გ.გ) კანის დაზიანების პრევენცია პროფესიული და სხვა გარემო ფაქტორების არსებობისას;
- დ) ორთოპედიული, ტრავმატოლოგიური და ქირურგიული პათოლოგია:
 - დ.ა) გავრცელებული მდგომარეობების მართვა:
 - დ.ა.ა) ტერფმრუდობა;
 - დ.ა.ბ) დისპლაზიური მენჯ-ბარძაყის სახსარი;
 - დ.ა.გ) როტაციული პრობლემები;
 - დ.ა.დ) სკოლიოზი: იდიოპათიური და შექენილი;
 - დ.ა.ე) დაჭიმვა, ამოვარდნილობა და მოტეხილობა;
 - დ.ა.ვ) მცირე, ზედაპირული, არაინფიცირებული ჭრილობები;
 - დ.ა.ზ) ზედაპირული დამწვრობა;
 - დ.ა.თ) ჰემოროიდული კვანძები (ამოცნობა, კონსერვატიული მკურნალობა);
 - დ.ა.ი) თიაქარი (შეფასება, რეფერალი);
 - დ.ა.კ) პოსტოპერაციული მდგომარეობების მეთვალყურეობა;
 - დ.ა.ლ) ორთოპედიაში გადაუდებელი მდგომარეობების გამოვლენა, სტაბილიზაცია, რეფერალი;
 - დ.ა.მ) მწვავე ქირურგიული მდგომარეობების დროული ამოცნობა და რეფერალი; პრევენცია;
 - დ.ა.ნ) ტრავმული დაზიანებების პირველადი პრევენცია;
 - დ.ა.ო) ორთოპედიული პათოლოგიის ადრეული ამოცნობა (სკრინინგი);
 - დ.ა.პ) პოსტოპერაციული გართულებების პრევენცია;

წ) ონკოლოგიური დაავადებები:

წ.ა) გავრცელებული მდგომარეობების მართვა: კიბოს სიმპტომების და ნიშნების ადრეული ამოცნობა და რეფერალი (აგრეთვე სკრინინგული პროგრამები; იხ. ქვემოთ);

წ.ბ) პრევენცია:

წ.ბ.ა) ონკოლოგიური დაავადებების პირველადი პრევენცია;

წ.ბ.ბ) ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგის პროგრამები; სკრინინგის ეროვნული პროგრამები (საშვილოსნოს ყელის, მკერდის, მსხვილი ნაწლავის, წინამდებარე ჯირკვლის კიბოს სკრინინგი);

წ.ბ.გ) ონკოლოგიური დაავადებების გართულებების პრევენცია;

ჭ) პალიატიური მზრუნველობა:

ჭ.ა) სიმპტომების მართვა:

ჭ.ა.ა) ტკივილი;

ჭ.ა.ბ) ანორექსია და კახექსია;

ჭ.ა.გ) ფსიქონევროლოგიური და ნევროლოგიური სიმპტომები: ასთენია, აგზნება-შფოთვა, დეპრესია, ცნობიერების დაბინდვა, ზურგის ტვინის დეპრესია;

ჭ.ა.დ) გულისრევა და ღებინება;

ჭ.ა.ე) ყაბზობა;

ჭ.ა.ვ) დიარეა;

ჭ.ა.ზ) დისფაგია;

ჭ.ა.თ) მეტეორიზმი;

ჭ.ა.ი) ბოყინი;

ჭ.ა.კ) ხველა;

ჭ.ა.ლ) სუნთქვის გაძნელება, ქოშინი;

ჭ.ა.მ) სლოკინი;

ჭ.ა.ნ) ნაწოლები (დეკუბიტური წყლულები);

ჭ.ა.ო) ქავილი;

ჭ.ა.პ) შარდის შეუკავებლობა;

ჭ.ა.ჟ) შარდის ბუშტის სპაზმი;

ჭ.ა.რ) შარდის შეკავება;

ჭ.ა.ს) ჰემატურია;

ჭ.ა.ტ) ჰიპერკალციემია (დროული ამოცნობა და რეფერალი).

ჭ.ბ) პრევენცია:

ჭ.ბ.ა) სხვადასხვა გართულებების პრევენცია: ნაწოლების, კახექსიის, დეპრესიის, ყაბზობის, ჰიპოვოლემიის და სხვა.

13. იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს ექიმსპეციალისტს:

ა) ინსტრუმენტული გამოკვლევები:

ა.ა) ელექტროკარდიოგრაფია;

ა.ბ) 24-საათიანი ეკგ მონიტორირება;

ა.გ) არტერიული წნევის ამბულატორიული მონიტორირება;

ა.დ) მიმოხილვითი რენტგენოგრაფია;

- ა.ე) სპირომეტრია;
- ა.ვ) რენტგენოკონტრასტული გამოკვლევები (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.ზ) ულტრასონოგრაფია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.თ) დოპლეროგრაფია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.ი) კომპიუტერული ტომოგრაფია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.კ) მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.ლ) ენდოსკოპია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ა.მ) კოლპოსკოპია (სპეციალისტის დასკვნის ინტერპრეტაცია);
- ბ) ლაბორატორიული გამოკვლევები:
 - ბ.ა) სისხლის საერთო ანალიზი;
 - ბ.ბ) შარდის საერთო ანალიზი;
 - ბ.გ) განავლის საერთო ანალიზი;
 - ბ.დ) სისხლის ბიოქიმიური ანალიზები;
 - ბ.ე) ინფექციის დასადგენი ტესტები;
 - ბ.ვ) ელექტროლიტები;
 - ბ.ზ) სეროლოგიური გამოკვლევები;
 - ბ.თ) ჰორმონული გამოკვლევები;
 - ბ.ი) კოაგულოგრამა;
 - ბ.კ) ონკომარკერები, პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის (შ) კვლევა;
 - ბ.ლ) ბაქტერიოლოგიური და ვირუსოლოგიური გამოკვლევები;
 - ბ.მ) ციტოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევები,-ტესტი;
 - ბ.ნ) სპერმის ანალიზი.

14. ექიმ-სპეციალისტის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები -(დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციები): ოჯახის ექიმს უნდა შეეძლოს შემდეგ სადიაგნოზო და სამკურნალო მანიპულაციების დამოუკიდებლად ჩატარება, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობითა და მასალებით უზრუნველყოფა და ანაზღაურების აღეკვეთური სისტემის ჩამოყალიბება:

- ა) ფიზიკური გასინჯვის მეთოდები ყველა ორგანოთა სისტემის მიხედვით (დათვალიერება, პალპაცია, პერკუსია, აუსკულტაცია), მათ შორის, ზოგადი ნევროლოგიური გასინჯვა, რექტალური გასინჯვა, ვაგინალური გასინჯვა, ახალშობილის ფიზიკური გასინჯვა, სისხლძარღვების აუსკულტაცია და პალპაცია, დიაბეტური ფეხის გასინჯვა-შეფასება;
- ბ) ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნება და კარდიოპულმონური რეანიმაცია (მოზრდილებში, ბავშვებში, ჩვილებსა და ახალშობილებში); მათ შორის, ვენტილაცია ამბუს პარკით, სასუნთქი გზების გათავისუფლება, ჰაიმლიკის მანევრი, ნემსით თორაკოსტომია, კრიკოთირეოიდოტომია და დეფიბრილაცია;
- გ) ჟანგბადის მიწოდება (ნიღბით, კანულით);
- დ) მასობრივი კატასტროფების დროს დაშავებულთა „ტრიაჟი“;
- ე) ეკგ-ის გადაღება;
- ვ) გლუკომეტრია (პორტატული აპარატის გამოყენებით);
- ზ) ორსულობის სწრაფი ტესტის ჩატარება (ე.წ. „სტრიპტესტი“);
- თ) შარდის აღება („შუა ულუფის“ აღება) და „სტრიტესტის“ ჩატარება;
- ი) განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე (სწრაფი ტესტი);

- კ) კანის ტუბერკულოზის ალერგიული ტესტის ჩატარება;
- ლ) პიკოლოპტიკის გამოყენება და სწავლება პაციენტისათვის;
- მ) სხვადასხვა ტიპის ინჰალატორის და ნებულაიზერის გამოყენება და სწავლება პაციენტისათვის;
- ნ) ფატალური არითმიების მართვა დეფიბრილაციის ჩათვლით;
- ო) ახალშობილის პირველადი ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება;
- პ) იმუნიზაცია;
- ჟ) მცირექირურგიული მანიპულაციები: ჭრილობის პირველადი დამუშავება, ჭრილობის სანაცია, ზედაპირულ ჭრილობაზე ქირურგიული ნაკერების დადება, ნაკერების მოხსნა, ინფილტრაციული ანესთეზია (გამტარებლობითი და ბუდობრივი), აბსცესების, პანარიციუმების, ფლეგმონების გაკვეთა და დრენირება, ჩაზრდილი ფრჩხილის მოცილება, რბილი ქსოვილების ზედაპირულ სიმსივნეთა ინოკულაცია, ნახვევის დადება და მოხსნა, დრენაჟის ამოღება, კოლოსტომის მოვლა;
- რ) სისხლდენის შეჩერება;
- ს) დამწვრობისა და ინფიცირებული ჭრილობის დამუშავება;
- ტ) ზედაპირული უცხო სხეულების მოცილება;
- უ) ინიექციები: კანშიდა, კანქვეშა, ინტრამუსკულური;
- ფ) ინტრავენური ინიექცია, ვენის კათეტერიზაცია და ინტრავენური ინფუზია;
- ქ) მხედველობის ორგანის გასინჯვა: მხედველობის სიმახვილის, მხედველობის ველის და თვალის მამოძრავებელი ფუნქციის გამოკვლევა;
- ღ) ოფთალმოსკოპია/ფუნდოსკოპია,
- ყ) თვალის ტონომეტრია;
- შ) ოტოსკოპია, გოგირდის საცობის გამოძევა წყლის ჭავლით;
- ჩ) სმენის გამოკვლევა, კამერტონის ტესტების გამოყენება;
- ც) რინოსკოპია, ფარინგოსკოპია, არაპირდაპირი ლარინგოსკოპია;
- ძ) ცხვირის მარტივი კაუტერიზაცია;
- წ) ცხვირიდან სისხლდენის შეჩერება, ცხვირის წინა ტამპონადა;
- ჭ) უცხო სხეულის ამოღება ცხვირიდან, ხახიდან და გარეთა სასმენი მილიდან;
- ხ) ნაზოგასტრალური ზონდირება;
- ჯ) კანის, ფრჩხილისა და თმის სინჯების აღება გამოკვლევისთვის;
- ჰ) სარძევე ჯირკვლების გასინჯვა;
- ჰ1) მენჯის ორგანოების გასინჯვა, ბიძანუალური ვაგინალური და რექტოვაგინალური გამოკვლევა, გამოკვლევა სარკის დახმარებით; საშვილოსნოს ზომის, მდებარეობისა და მობილურობის შეფასება და მენჯის დრუს ორგანოების მდგომარეობის ნორმიდან გადახრის ამოცნობა;
- ჰ2) გარეგანი სამეანო გასინჯვა, ნაყოფის გულისცემის შეფასება;
- ჰ3) პლაცენტის მდებარეობის შეფასება;
- ჰ4) ორსულის მდგომარეობის შეფასება;
- ჰ5) ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვა;
- ჰ6) ვაგინალური და ცერვიკალური ნაცხის აღება ციტოლოგიური გამოკვლევისათვის;
- ჰ7) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ჰ8) სწორი ნაწლავის გასინჯვა თითით;
- ჰ9) წინამდებარე ჯირკვლის გასინჯვა თითით;

- კ¹⁰) სათესლეების გასინჯვა;
- კ¹¹) ამოვარდნილობის კორექცია;
- კ¹²) სატრანსპორტო იმობილიზაცია კიდურების ძვლებისა და ხერხემლის დაზიანების შემთხვევაში;
- კ¹³) ნაცხის აღება ბაქტერიოლოგიური და ციტოლოგიური გამოკვლევებისათვის;
- კ¹⁴) პარაცენტეზი;
- კ¹⁵) პლევრის პუნქცია;
- კ¹⁶) დაჭიმული პნევმოთორაქსის გადაყვანა ღია პნევმოთორაქსში.

15. ექიმ-სპეციალისტის პაციენტთა მომსახურების პოპულაცია (ასაკობრივი ჯგუფი), რომელსაც ემსახურება კონკრეტული სპეციალობის ექიმი – ოჯახის ექიმის სამიზნე პოპულაცია არ შემოიფარგლება ასაკით, სქესით და ჯანმრთელობის პრობლემების თავისებურებებით. სპეციალობის განმარტებიდან გამომდინარე, ოჯახის ექიმი ზრუნავს ყოველ პირზე, რომელსაც ესაჭიროება სამედიცინო დახმარება, განურჩევლად მისი ასაკის, სქესისა და დაავადებისა.

16. სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა და რეფერალი:

ა) ოჯახის ექიმს, როგორც პირველადი ჯანდაცვის ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების კოორდინაციას და უწყვეტობას, შეხება აქვს ფაქტობრივად ნებისმიერი სპეციალობის ექიმთან, რომელიც ჩართულია პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარებაში;

ბ) სპეციალობათა დიდ ნაწილთან საოჯახო მედიცინას საზიარო კომპეტენციები გააჩნია;

გ) ოჯახის ექიმს საზიარო კომპეტენციები გააჩნია ფაქტობრივად ყველა საექიმო სპეციალობასთან:

გ.ა) შინაგანი სნეულებები და მისი მომიჯნავე სპეციალობები, გარდა ჰომეოპათიისა;

გ.ბ) პედიატრია და მისი მომიჯნავე სპეციალობები;

გ.გ) მეანობა-გინეკოლოგია და მისი მომიჯნავე სპეციალობები;

გ.დ) ფსიქიატრია და მისი მომიჯნავე სპეციალობები;

გ.ე) ნევროლოგია და მისი მომიჯნავე სპეციალობები;

გ.ვ) ოფთალმოლოგია;

გ.ზ) ოტორინოლარინგოლოგია;

გ.თ) უროლოგია;

გ.ი) ზოგადი ქირურგია, ბავშვთა ქირურგია, პროქტოლოგია; საზიარო კომპეტენციებს განეკუთვნება მცირექირურგიული მანიპულაციები, კონსერვატიული მკურნალობა (მაგ., ჰემოროიდული კვანძების თრომბოზის კონსერვატიული მკურნალობა), პოსტოპერაციული პერიოდის ამბულატორიული მართვა;

გ.კ) ორთოპედია-ტრავმატოლოგია;

გ.ლ) ონკოლოგია;

გ.მ) გადაუდებელი მედიცინა;

გ.ნ) ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და კურორტოლოგია;

გ.ო) სპორტის მედიცინა;

გ.პ) პროფესიული სნეულებები;

დ) ოჯახის ექიმმა უნდა შეძლოს ნებისმიერი პაციენტის ჯანმრთელობის ნებისმიერი პრობლემის პირველადი შეფასება, რის შემდეგაც ოჯახის ექიმმა შეიძლება პრობლემა მთლიანად ან საწყის ეტაპზე მართოს თვითონ (მათ შორის, გაუწიოს პაციენტს გადაუდებელი დახმარება), ან გააგზავნოს სხვა სპეციალისტთან, ან მეორეული დონის სამედიცინო დაწესებულებაში. საოჯახო მედიცინასა და ზემოთ ჩამოთვლილი

სპეციალობებისა და სუბსპეციალობების სპეციფიკაციაში ჩართული დაავადებების/მდგომარეობების მართვისას კომპეტენციების „გადაფარვა/დამთხვევა“ პირველადი ჯანდაცვის გარდუვალი თანამდევია. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ოჯახის ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემის მართვაში სხვა სპეციალისტის ჩართვის დროულობის და ხარისხის შესახებ ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება;

ე) ზოგადად სხვა სპეციალისტთან რეფერალი და/ ან მეორეულ თუ მესამეულ დაწესებულებაში პაციენტის გაგზავნის საფუძველი შემდეგია:

ე.ა) პაციენტისათვის გადაუდებელი დახმარების გაწევის საჭიროება, როდესაც:

ე.ა.ა) ოჯახის ექიმს არ შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა (შესაბამისი პირობების არარსებობის გამო ან შესაბამისი კომპეტენციის არქონის გამო) ან;

ე.ა.ბ) ოჯახის ექიმმა უკვე გაუწია პაციენტს პირველადი გადაუდებელი დახმარება (იხ. ქვეთავი 3 „ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები“) და პაციენტი საჭიროებს პოსპიტალიზაციას (მაგ., ოჯახის ექიმმა პაციენტს მწვავე კორონარული სინდრომით, რომელმაც ოფისში მიმართა მას, გადაუღო ეკგ, მისცა ასპირინი ანტითრომბოციტული დოზით, ნიტროგლიცერინი, ბეტა-ბლოკერი და გამოიძახა სასწრაფო დახმარების სამსახური ან მძღოლიანი მანქანით გააგზავნა პაციენტი საავადმყოფოში);

ე) რთული სადიაგნოზო შემთხვევა (დაავადების ატიპიური მიმდინარეობა, ეჭვი იშვიათი დაავადების არსებობაზე):

ზ) წარუმატებელი მკურნალობა (მკურნალობისადმი რეზისტენტული შემთხვევები, მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები მკურნალობისას);

თ) ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც საჭიროებს ისეთ სადიაგნოზო და სამკურნალო მანიპულაციას, რომელსაც ოჯახის ექიმი არ ფლობს; მაგ., ქირურგიული მკურნალობა (გარდა მცირექირურგიული მანიპულაციებისა), ენდოსკოპია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, აუდიომეტრია, სხივური თერაპია და ა.შ.;

ი) ჯანმრთელობის პრობლემა, რომლის მართვისთვისაც ქვეყანაში შექმნილია ადვილად ხელმისაწვდომი სპეციალური ქსელი; მაგ., ტუბერკულოზი, ფსიქიატრიული დაავადებები; ამასთან, დაავადების პირველადი შეფასება და რეფერალის საჭიროების განსაზღვრა მაინც ოჯახის ექიმის კომპეტენციაში შედის.

მუხლი 3. პროფესიული მზადების სტრუქტურა

1. დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების (რეზიდენტურის) პროგრამა დაყოფილია 3 ეტაპად (ნაწილად):

ეტაპი	დასახელება	ხანგრძლივობა: თვე
I	საოჯახო მედიცინის შესავალი კურსი	6 თვე
II	როტაციები კლინიკებში	15 თვე
III	საოჯახო მედიცინის სპეციალიზებული კურსი	12 თვე
შვებულებები		თვე

2. რეზიდენტურის I ეტაპის მიზანია გააცნოს რეზიდენტს საოჯახო მედიცინის პრინციპები და სტრატეგიები, რაც სასარგებლო იქნება მისთვის მზადების მთელ პერიოდში.

3. მზადების II ეტაპის მიზანია რეზიდენტისათვის იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნა-გამომუშავება, რაც აუცილებელია პირველად ჯანდაცვაში არსებული სპეციფიკური პრობლემების მართვისათვის, მათ შორის განსაკუთრებით იმ პრობლემებისა, რომლებიც უმნიშვნელოვანესია საქართველოსათვის.

4. მზადების III ეტაპზე რეზიდენტმა უნდა შეიძინოს სპეციფიკური ცოდნა, უნარ-ჩვევები და მიღწომები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემენ ეფექტურად მართოს გაგრძელებული ქრონიკული და მწვავე მდგომარეობები, რომლებიც ტიპურია საოჯახო მედიცინისათვის. დასაშვებია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში რეზიდენტს ექნება შესაძლებლობა განახორციელოს გარკვეული კონტინგენტისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარება, ექნება დამოუკიდებელი საქმიანობის ნებართვა, როგორც საოჯახო მედიცინის სპეციალისტს.

მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამის მოდულებად დაყოფა და მოდულების განხორციელების ორგანიზაცია, სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების მოდულებად დაყოფა

1. სარეზიდენტო პროგრამის I ეტაპი: სარეზიდენტო პროგრამის I ეტაპი მოიცავს 4 მოდულს და გრძელდება 6 თვეს. 6 თვის განმავლობაში მაძიებელი მზადებას გადის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში:

№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)
I1	სპეციალობისა და პროფესიონალიზმის საფუძვლები	2
I2	ჯანდაცვის სისტემა და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია	15
I3	მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და ბიოსამედიცინო კვლევის საფუძვლები	15
I4	პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტკივილის მართვის საფუძვლები	1

2. სარეზიდენტო პროგრამის II ეტაპი: სარეზიდენტო პროგრამის II ეტაპი მოიცავს შესაბამისი პროფილის საავადმყოფოებში ან კლინიკებში როტაციების 9 ძირითად (13 თვე) და 2 ელექტიურ მოდულს (2 თვე), სულ 11 მოდულს საერთო ხანგრძლივობით 15 თვე:

№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
ძირითადი მოდულები – 13 თვე		
II.1	კარდიოლოგია	1 თვე
II.2	ფილტვების დაავადებები და ტუბერკულოზი	1 თვე
II.3	ენდოკრინოლოგია	1 თვე
II.4	ინფექციური სნეულებები	1 თვე
II.5	გადაუდებელი მედიცინა და ტრავმა	2 თვე
II.6	ბავშვთა ჯანმრთელობა	3 თვე
II.7	ქალთა ჯანმრთელობა	2 თვე
II.8	ფსიქიკური ჯანმრთელობა	1 თვე
II.9	ნარკოლოგია	1 თვე
ელექტიური მოდულები – 2 თვე		
II.11	ელექტიური მოდული 1	1 თვე
II.12	ელექტიური მოდული 2	1 თვე

3. სარეზიდენტო პროგრამის III ეტაპი: სარეზიდენტო პროგრამის III ეტაპი მოიცავს 3 მოდულს, რომელსაც მაძიებელი გადის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში:

მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა

მოდული III.1. „დაავადებათა პრევენცია და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ – 7 თვე		
საკითხი 1.	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა და პრევენციული პროგრამები პირველად ჯანდაცვაში	1 თვე
საკითხი 2.	ქრონიკული დაავადებების მართვა	3 თვე
საკითხი 3.	ხანდაზმულების სამედიცინო მომსახურება	1 თვე
საკითხი 4.	პალიატიური მზრუნველობა	1 თვე
საკითხი 5.	წამლის რაციონალური გამოწერა	1 თვე
მოდული III.2. „ოჯახი და თემი ოჯახის ექიმის საქმიანობაში“ – 2 თვე		
საკითხი 1.	ოჯახი, როგორც ზრუნვის/დახმარების ერთეული	1 თვე
საკითხი 2.	თემზე ორიენტირებული პირველადი ჯანდაცვა	1 თვე
მოდული III.3. „ხარისხის უზრუნველყოფა და სამეცნიერო კვლევა“ – 3 თვე		
საკითხი 1.	ხარისხის უზრუნველყოფა	1 თვე
საკითხი 2.	პაციენტის კმაყოფილება და აუდიტი	1 თვე
საკითხი 3.	სამეცნიერო კვლევა	1 თვე

4. სარეზიდენტო პროგრამის საერთო სტრუქტურა მოდულების რაოდენობის მიხედვით:

ეტაპი და დასახელება	მოდულების რაოდენობა	ხანგრძლივობა (თვე)
ეტაპი I. საოჯახო მედიცინის შესავალი კურსი	4	6
ეტაპი II. როტაციები კლინიკებში	11	15
ეტაპი III. საოჯახო მედიცინის სპეციალიზებული კურსი	3	12
სულ	20	33

მუხლი 5. სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების ზოგადი დახასიათება და განხორციელების ორგანიზაცია

1. ზოგადი პრინციპები:

ა) სარეზიდენტო პროგრამის გავლისას აუცილებელია მზადების ეტაპების თანმიმდევრობის დაცვა (ჯერ I, შემდეგ II, დასასრულს III);

ბ) დასაშვებია ერთი ან რამდენიმე გამოტოვებული მოდულის მოგვიანებით გავლა („ადღენა“) პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.

2. მოდულების თანმიმდევრობა: ერთი ეტაპის ფარგლებში შესაძლებელია მოდულების გავლა განსხვავებული თანმიმდევრობით. თანმიმდევრობას ადგენენ პროგრამის ხელმძღვანელი და კოორდინატორი ტუტორებთან ერთად.

მუხლი 6. სარეზიდენტო პროგრამის I ეტაპის მიზანი და ამოცანები

1. რეზიდენტურის I ეტაპის (პირველი 6 თვე) ბოლოს რეზიდენტი უკვე იცნობს საოჯახო მედიცინის პრინციპებსა და სტრატეგიებს. მას შეუძლია მსჯელობა ოჯახის ექიმის ძირითად კომპეტენციებსა და სპეციალობის მახასიათებლებზე. ფლობს საექიმო კონსულტაციის ჩატარების მეთოდოლოგიას და კომუნიკაციის ჩვევებს. შეუძლია მსჯელობა ოჯახის ექიმის პრაქტიკის ორგანიზაციულ ასპექტებზე. იცნობს მტკიცებულებითი მედიცინის საფუძველებსა და მეთოდებს. შეუძლია გაანალიზოს ამა თუ იმ სადიაგნოზო მეთოდის ვალიდურობა და სამკურნალო მეთოდის ეფექტურობა

არსებული ლიტერატურის შეფასების საფუძველზე. იცნობს საქართველოს კანონმდებლობას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში და ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის სამართლებრივ და ეთიკურ ასპექტებს. შეუძლია კვლევის მეთოდებზე მსჯელობა პირველადი ჯანდაცვის კონტექსტში.

2. მზადების ეს ნაწილი ტარდება ოჯახის ექიმის ოფისში (მოდულზე პასუხისმგებელი პირის – „ოჯახის ექიმი-მასწავლებლის“ მეთვალყურეობით) და გარემოში, სადაც მაძიებელს ხედება ტუტორი.

3. ერთი მოდულის ფარგლებში რეზიდენტი/მაძიებელი მუშაობს ერთი ოჯახის ექიმის ზედამხედველობის ქვეშ.

4. ტუტორი მუშაობს 6-8 რეზიდენტთან/მაძიებელთან, რაც მოიცავს საწყის და დასკვნით შეხვედრებს ცალკეული მოდულის ფარგლებში.

5. მოცემული ეტაპის სპეციფიკური ამოცანები მოიცავს შემდეგს:

ა) პირველადი ჯანდაცვის მართვა:

ა.ა) პირველად ჯანდაცვაში არსებული პრობლემების (მათ შორის, ჩვილების) ეპიდემიოლოგიის ცოდნა;

ა.ბ) პირველადი ჯანდაცვისათვის ტიპური სიმპტომებისა და ჩვილების ცოდნა, განსაკუთრებით დაავადებათა ადრეულ სტადიებზე; მათი მნიშვნელობის ცოდნა დიაგნოზისა და მკურნალობისათვის (ბაზისური პროცედურები საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში);

ა.გ) ორგანიზაციული მიდგომების ცოდნა ქრონიკული მდგომარეობების მართვისათვის (პრაქტიკის ორგანიზაცია და ადმინისტრირება);

ა.დ) ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და მისი კომპონენტების ფუნქციის ცოდნა პირველად ჯანდაცვასთან კავშირში;

ა.ე) ძირითადი სკომუნიკაციო უნარ-ჩვევები პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების კონსულტირებისა და სწავლებისათვის, მათთან ურთიერთობისათვის;

ა.ვ) ძირითადი საორგანიზაციო უნარ-ჩვევები ჩანაწერების შენახვის, საინფორმაციო მართვის, გუნდური მუშაობის, პრაქტიკის წარმართვისა და საქმიანობის ხარისხის აუდიტისათვის;

ბ) პიროვნებაზე კონცენტრირებული დახმარება:

ბ.ა) ბაზისური მეცნიერული ცოდნა პიროვნების, მისი განვითარების, მიზნებისა და ცხოვრებისეული მოლოდინების გაგებისათვის;

ბ.ბ) მოძიებული მონაცემების პაციენტისათვის მისთვის მისაღები და გასაგები ფორმით შეტყობინების უნარი, რაც, აგრეთვე, გულისხმობს პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას მისი მოსაზრებების თაობაზე და ერთიანი საფუძვლის ჩამოყალიბებას შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ.გ) გადაწყვეტილების მიღება პაციენტის ავტონომიის გათვალისწინებით;

გ) სპეციფიკური პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები:

გ.ა) ბაზისური ცოდნა დაავადებებისა და პათოლოგიური მდგომარეობების შესახებ პირველად ჯანდაცვასა და ზოგადად, საქართველოში ზემოსხენებულთა სიხშირისა და გავრცელების სპეციფიკურობის გათვალისწინებით;

გ.ბ) ანამნეზის შეგროვებისა და ფიზიკური გასინჯვის, აგრეთვე მოძიებული შედეგების შეფასების უნარ-ჩვევა;

დ) ყოვლისმომცველი მიდგომა:

დ.ა) ოჯახის ექიმის როლის გაცნობიერება თემში ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის;

დ.ბ) ინდივიდისა და თემის მოთხოვნებს შორის არსებული ეთიკური წინააღმდეგობების მნიშვნელობის გათვალისწინება და შესაბამისად მოქმედება;

დ.გ) გუნდის წევრების განსხვავებული შესაძლებლობებისა და განსხვავებული წვლილის შეტანის უნარის გაცნობიერება;

ე) თემზე ორიენტაცია:

ე.ა) ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ დაცვას შორის ურთიერთკავშირის გაცნობიერება;

ე.ბ) სიღარიბის, ეთნიკური თავისებურებებისა და ლოკალური ეპიდემიოლოგიური მონაცემების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის გაცნობიერება;

ე.გ) ჯანდაცვის სფეროში არსებული უთანაბრობის გაცნობიერება;

ე.დ) ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურისა და მისი ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობის გაცნობიერება;

ე.ე) გაცნობიერება იმისა, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული ჯანდაცვის სისტემა პაციენტისა და ექიმის მიერ (რეფერალური პროცედურები, თანაგადახდა, საავადმყოფო ფურცელი, საკანონმდებლო საკითხები და ა.შ.) მათი პრობლემების კონტექსტში;

ვ) პოლისტური მიდგომა:

ვ.ა) პოლიზმის კონცეფციის ცოდნა და მისი გამოყენება პაციენტებისათვის დახმარების აღმოჩენისას; მზადების ამ ნაწილის არსებითი მახასიათებლები შეიძლება გახდეს:

ვ.ა.ა) კონტექსტუალური: ადგილობრივი თემის, ეკონომიკური ფაქტორების, გეოგრაფიული და კულტურული ფაქტორების გავლენა სამუშაო ადგილზე და პაციენტისათვის დახმარების აღმოჩენის პროცესზე; რა სახის ფინანსურ და საკანონმდებლო გარემოში ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვა პრაქტიკულ დონეზე;

ვ.ა.ბ) დამოკიდებულებითი: პერსონალური ეთიკის საკითხების გაცნობიერება;

ვ.ა.გ) მეცნიერული: სამეცნიერო კვლევის ზოგადი პრინციპების, მეთოდებისა და კონცეფციის, აგრეთვე სტატისტიკის საფუძვლების (სისშირე, გავრცელება, პროგრნოზული მნიშვნელობა და სხვ.) ცოდნა; სამედიცინო ლიტერატურის მოძიების, კითხვისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

6. ჩატარების ადგილი:

ა) მზადების ეს ნაწილი უნდა ჩატარდეს ოჯახის ექიმის ოფისში, სასურველია, რეზიდენტის პერსონალური ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. მზადების გარკვეული ნაწილი შეიძლება განხორციელდეს საოჯახო მედიცინის ცენტრში ან სხვა ადგილზე (მაგ., სასწავლო ცენტრებში);

ბ) დროის განრიგი: მზადების საერთო ხანგრძლივობაა 6 თვე. ეს პერიოდი დაყოფილია მოდულებად (იხ. ზემოთ „სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების მოდულებად დაყოფა“).

7. ცალკეული მოდულის განხორციელების მეთოდი:

ა) მოდულები განხორციელდება სტრუქტურირებული სასწავლო სესიების სახით ყოველი მოდულის დასაწყისში და დასასრულს. სესიებს შორის დროის მონაკვეთი გამოყენებული იქნება ამოცანის შესრულებისათვის და, თუ შესაძლებელია, რეზიდენტებთან რეგულარული ყოველკვირეული შეხვედრებისთვის, სასწავლო პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად;

ბ) ყოველი მოდული იწყება ერთი ან რამდენიმე დღიანი შესავალი ნაწილით და მისი დანიშნულებაა სასწავლო კურსის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების განხილვა და კურსის მიზნის განმარტება;

გ) ყოველი მოდულის დამთავრებისას მოეწეობა დასკვნითი სასწავლო სესია, რომლის მიზანია განვლილი სამუშაო შეფასება და შეჯამება.

8. სწავლების მეთოდები: გამოყენებული იქნება სწავლების სხვადასხვა მეთოდები. ძირითადი მეთოდია საქმიანობა ხელმძღვანელთან და პრაქტიკის წარმოება მეთვალყურეობით, რასაც თან მოჰყვება რეზიდენტის დამოუკიდებელი კონსულტაციები. აუდიტორიაში სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით: ლექცია, დისკუსია მცირე ჯგუფებში, დავალებების შესრულება და სხვ.

9. შეფასება: ყოველი მოდულის შემდეგ ტარდება შეფასება, რომელიც განსაზღვრავს დასახული მიზნის მიღწევის ხარისხს. შეფასება ტარდება დასკვნითი სესიების დროს.

მუხლი 7. სარეზიდენტო პროგრამის II ეტაპის მიზანი და ამოცანები

1. პროფესიული მზადების II ეტაპის მიზანია:

ა) მზადების II ეტაპის ბოლოსთვის რეზიდენტს გამომუშავებული აქვს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პირველად ჯანდაცვაში არსებული სპეციფიკური პრობლემების მართვისათვის, მათ შორის, განსაკუთრებით იმ პრობლემებისა, რომლებიც უმნიშვნელოვანესია საქართველოსათვის;

ბ) შეუძლია გავრცელებული ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკა და მართვა; იცნობს გადაუდებელი მედიცინისა და ტრავმის მართვის პრინციპებს, შეუძლია გავრცელებული სამედიცინო პრობლემების მართვა ბავშვებში, იცნობს ქალთა ჯანმრთელობის დაცვის ძირითად პრინციპებს და შეუძლია სპეციფიკური პრობლემების მართვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ჩათვლით; შეუძლია პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის ძირითადი მახასიათებლების შეფასება და გავრცელებული აშლილობების ამოცნობა ან მათ არსებობაზე ეჭვის მიტანა; შეუძლია გავრცელებული დაავადებების ამოცნობა და პირველადი მართვა შემდეგი სფეროებიდან: ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები, დერმატოლოგია, ოფთალმოლოგია, ნევროლოგია, ორთოპედია, ონკოლოგია, ქირურგია.

2. პროფესიული მზადების II ეტაპის ამოცანები: მოცემული ეტაპის სპეციფიკური ამოცანები მოიცავს შემდეგს:

ა) პირველადი ჯანდაცვის მართვა:

ა.ა) პირველადი ჯანდაცვის სფეროში ტიპური (უხშირესი) სიმპტომებისა და ჩივილების ცოდნა, განსაკუთრებით დაავადებათა ადრეულ სტადიებზე; ამ უკანასკნელთა ნიშნებისა და სიმპტომების მნიშვნელობის ცოდნა სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების შერჩევისათვის;

ა.ბ) უნარ-ჩვევები მწვავე, ქრონიკული, პრევენციული, პალიატიური და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის;

ა.გ) ანამნეზის შეგროვების, ფიზიკური გამოკვლევისა და დამატებითი ტესტების გამოყენების უნარ-ჩვევები იმ მდგომარეობათა სადიაგნოზოდ, რომლებიც აღენიშნებათ პაციენტებს პირველად ჯანდაცვაში;

ა.დ) მკურნალობის უნარ-ჩვევები, მათ შორის, როგორც მედიკამენტური, ისე არამედიკამენტური მიდგომების გამოყენებით იმ მდგომარეობების დროს, რომლებიც ხშირია პირველად ჯანდაცვაში (მაგ., კარდიოვასკულური დაავადებები, ცერებროვასკულური დაავადებები, დიაბეტი, ფილტვის დაავადებები და ა.შ.);

ა.ე) სხვა სპეციალისტებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი;

ბ) პიროვნებაზე კონცენტრირებული დახმარება: ბაზისური საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (გაგრძელება იქნება);

გ) სპეციფიკური პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები:

გ.ა) სპეციფიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევა, მათ შორის, ისეთი ბერკეტების გამოყენების უნარი, როგორცაა კლინიკური მსჯელობა და გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესები;

გ.ბ) ანამნეზური მონაცემების მოძიებისათვის საჭირო კითხვებისა და მნიშვნელოვანი ფიზიკური ნიშნების ცოდნა და მათი მისადაგება არსებულ პრობლემასთან, ყურადღების გამახვილებით გადაუდებელი დახმარების საჭიროებაზე და პირიქით;

გ.გ) პაციენტთან დაკავშირებული გარემოებების, მათ შორის ოჯახისა და სოციალური ფაქტორების, მოძიების ცოდნა;

გ.დ) წარმოდგენილი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო სადიაგნოზო და სამკურნალო რესურსების შესახებ ინფორმაციის ფლობა;

გ.ე) ანამნეზის შეგროვებისა და ფიზიკური გამოკვლევის უნარ-ჩვევები, მოძიებული მონაცემების შეფასების ცოდნა;

გ.ვ) საქმიანობისადმი მიდგომის ისეთი მახასიათებლების გათავისება, როგორცაა ცოდნის წყურვილი, მონდომება და ყურადღებიანობა;

გ.ზ) სპეციფიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევა ურგენტულ სიტუაციებში;

გ.თ) სპეციფიკური უნარ-ჩვევების ქონა გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო პროცედურების განხორციელებისათვის პირველადი ჯანდაცვისათვის დამახასიათებელ სიტუაციებში;

გ.ი) ცოდნა იმისა, როდის შეიძლება მოცდა/დაყოვნება და როდის არის საჭირო დამატებითი სადიაგნოზო ღონისძიებები;

გ.კ) სიმპტომებისა და ნიშნების, დამატებითი გამოკვლევების მონაცემების პოზიტიური და ნეგატიური პრედიკტული მნიშვნელობისა და „სამიზნე“ დაავადებების დროს მათი სისშირის ცოდნა;

გ.ლ) სადიაგნოზო და სამკურნალო ღონისძიებების ხარჯეფექტურობისა და ხარჯსარგებლიანობის გაცნობიერება.

დ) ყოვლისმომცველი მიდგომა:

დ.ა) პოლიმორბიდულობის (პოლინოზოლოგიურობის) კონცეფციისა და შედეგების გაცნობიერება;

დ.ბ) პაციენტის ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების ერთდროულად მართვის უნარ-ჩვევა მათი ამოცნობის, შესწავლის, განმარტების მიცემის, საუბრის წარმართვისა და პრიორიტეტების გამოყოფის გზით;

ე) თემზე ორიენტაცია: ჯანდაცვასთან დაკავშირებულ სათემო პოლიტიკაში ჩართულ სხვა პროფესიონალებთან მუშაობა და მათი როლის გაცნობიერება;

ვ) მეცნიერული გამოყენების მახასიათებლები იქნება: სრულყოფილი ცოდნა პათოლოგიის, სიმპტომებისა და დიაგნოზის, მკურნალობისა და პროგნოზის, ეპიდემიოლოგიის, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების, ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა და პრობლემის გადაჭრის თეორიების ფორმირებისა და პრევენციული სამედიცინო დახმარების მეცნიერული საფუძვლების შესახებ.

3. II ეტაპის ელექტიური მოდულების შესახებ:

ა) მთლიანად მზადება II ეტაპზე მზადების 2 თვე გამოყოფილია ელექტიური მოდულებისთვის. მაძიებელს/რეზიდენტს შეუძლია შეარჩიოს ერთ თვიანი ხანგრძლივობის 2 ელექტიური მოდული ქვემოთ მოცემული ნუსხიდან:

ა.ა) ნევროლოგია (1 თვე);

ა.ბ) ონკოლოგია (1 თვე);

ა.გ) ოფთალმოლოგია (1 თვე);

ა.დ) ქირურგია (1 თვე);

ა.ე) ორთოპედია (1 თვე);

ა.ვ) ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები (1 თვე);

ა.ზ) დერმატოლოგია (1 თვე);

ბ) ყოველი როტაციის ნაწილს (სასურველია 50%) რეზიდენტი გაატარებს ამბულატორიულ კლინიკაში. სპეციალური/ვიწრო საკითხებისათვის ორგანიზებული იქნება მოკლევადიანი სასწავლო კურსები.

4. მზადების II ეტაპის დანიშნულება და მნიშვნელობა:

ა) იმისათვის, რომ II ეტაპის როტაციებისას გაუმჯობესდეს მზადების ხარისხი და შესაბამისობა, საოჯახო მედიცინის მასწავლებლებმა („ოჯახის ექიმი-მასწავლებელი“) ყურადღება უნდა გაამახვილონ იმაზე, თუ რას ელიან მსმენელები/რეზიდენტები მზადების

პროცესის ამ კომპონენტისაგან და რა საშუალებები არსებობს ამ მოლოდინის გასამართლებლად. საგანმანათლებლო პროგრამის მზარდი ხარისხის მოლოდინის გამართლება დამოკიდებულია სპეციალისტი მასწავლებლების მომზადების დონესა და მათთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. კონსულტანტ მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო არა მარტო სწავლებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ შეიძინონ და სრულყოფნა სწავლების უნარ-ჩვევები. იქ, სადაც მზადება მიმდინარეობს პირველადი ჯანდაცვის კლინიკის გარეთ, მათ შორის, საავადმყოფოში, უნდა არსებობდეს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებაზე პასუხისმგებელი დაწესებულებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას და საოჯახო მედიცინის მასწავლებლების მიერ ხელმძღვანელობის შესაძლებლობას;

ბ) საოჯახო მედიცინის რეზიდენტების პირველადი ჯანდაცვის სისტემის აგრეთ, მათ შორის საავადმყოფოებში, მზადების პერიოდში „ჩავარდნების“ თავიდან ასაცილებლად და საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბალანსი მზადების საგანმანათლებლო და სამომსახურეო კომპონენტებს შორის. ყველა კლინიკასა და საავადმყოფოში უნდა იყოს ფორმალური და არაფორმალური სწავლებისთვის დროის გამოყოფის შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს კონკრეტული პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიმდინარე შეფასებაზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასებაზე და მეთვალყურეობაზე;

გ) კლინიკური აუდიტი – სამედიცინო დახმარების ხარისხის სისტემატური მიმოხილვა, თანამედროვე ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. იდეალურია, თუ ის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია ყველა კლინიკასა და საავადმყოფოში, რომლებიც შერჩეულია საოჯახო მედიცინის სწავლებისთვის;

დ) სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს მომავალი ოჯახის ექიმის საჭიროებებზე. საავადმყოფოებში მზადების პერიოდში უნდა შენარჩუნდეს მუდმივი კონტაქტი საოჯახო მედიცინის დაწესებულებასთან. საოჯახო მედიცინის რეზიდენტების მზადების პროგრამა საავადმყოფოსა და კლინიკებში ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც სხვა სპეციალობის რეზიდენტებისთვის სპეციალურ განყოფილებებში მზადება.

5. სწავლების/შეფასების მეთოდები მზადების II ეტაპზე: მზადების მოცემულ ეტაპზე სწავლების და შეფასების მეთოდები ანალოგიურია და თითქმის არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეფუძნება კლინიკური საგნების სწავლებას ცალკეულ სპეციალობებში:

ა) სწავლება კლინიკური პრაქტიკის გარეთ: სწავლება მცირე ჯგუფებში, რომლის მიზანია ძირითადი ინფორმაციის მიწოდება რეზიდენტებისათვის ამა თუ იმ კლინიკური საკითხის შესახებ;

ბ) პრაქტიკული საქმიანობა კლინიკასა და საავადმყოფოში:

ბ.ა) დაკვირვება სამედიცინო პერსონალის საქმიანობაზე, დასწრება სამედიცინო კონსულტაციებზე;

ბ.ბ) პრაქტიკული კლინიკური საქმიანობა მოცემულ სპეციალობაში მოდულზე პასუხისმგებელი პირის (ე.წ. „მასწავლებელი სპიციალისტი“) ზედამხედველობით;

ბ.გ) მასწავლებლის ანგარიშები და სწავლების პროცესის გაუმჯობესების საკითხებზე მსჯელობა;

გ) პრაქტიკული საქმიანობა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში (ეს კომპონენტი ეტაპობრივ დანერგვას საჭიროებს და შესაძლებელია დასაწყისში, ბაზების უკმარისობის გამო არ დაინერგოს):

გ.ა) დაკვირვება სამედიცინო პერსონალის საქმიანობაზე, დასწრება სამედიცინო კონსულტაციებზე ოჯახის ექიმის ოფისში;

გ.ბ) პრაქტიკული კლინიკური საქმიანობა ოჯახის ექიმის ოფისში: მოცემული სპეციალობის ფარგლებში არსებული ჯანმრთელობის პრობლემების მართვა მოდულზე პასუხისმგებელი პირის (ოჯახის ექიმის) ზედამხედველობით;

გ.გ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში პროგრამის ხელმძღვანელისადმი და სწავლების პროცესის გაუმჯობესების საკითხებზე მსჯელობა;

- დ) სწავლების მეთოდების ჩამონათვალი:
 - დ.ა) პირდაპირი დაკვირვება (ვიწრო სპეციალისტისა და ოჯახის ექიმის საქმიანობაზე);
 - დ.ბ) სამედიცინო კონსულტაცია სიმულირებული პაციენტის დახმარებით;
 - დ.გ) ჩვენების შესწავლა მულაჟის გამოყენებით;
 - დ.დ) სწავლება მცირე ჯგუფებში;
 - დ.ე) ინტერაქტიური დისკუსია;
 - დ.ვ) ინტერაქტიური პრეზენტაცია, ლექცია თანდართული სახელმძღვანელო მასალებით;
 - დ.ზ) უკუკავშირი/ანგარიშები პრაქტიკის მასწავლებლებისგან და სხვა პერსონალისაგან;
- ე) შეფასების მეთოდების ჩამონათვალი:
 - ე.ა) რეზიდენტის მიერ წარმოებული კლინიკური საქმიანობის შეფასება რეზიდენტის ჩანაწერების საფუძველზე;
 - ე.ბ) პირდაპირი დაკვირვება რეზიდენტის მიერ წარმოებულ საქმიანობაზე და დაკვირვების შედეგების განხილვა რეზიდენტთან;
 - ე.გ) რეზიდენტის მიერ წარმოებული პროფესიული საქმიანობის გადაღება და მისი განხილვა რეზიდენტთან;
 - ე.დ) სამედიცინო კონსულტაცია სიმულირებული პაციენტის დახმარებით;
 - ე.ე) კლინიკური ჩვენების დემონსტრირება მულაჟზე/მანეკენზე/სიმულატორზე;
 - ე.ვ) როლების თამაში;
 - ე.ზ) კლინიკური შემთხვევების ანალიზი (წერილობითი და ზეპირი);
 - ე.თ) პაციენტის მოსაზრებები და ჩანაწერები;
- ე) მზადების II ეტაპზე აუცილებელია რეგულარული (ყოველთვიური) „უკუკავშირის“ სესიები, რომელსაც ატარებს ტუტორი.

მუხლი 8. სარეზიდენტო პროგრამის III ეტაპის მიზანი და ამოცანები

1. პროფესიული მზადების III ეტაპის მიზანი: სპეციალობაში „ოჯახის ექიმი“ რეზიდენტების მზადების III ეტაპის დასასრულისთვის რეზიდენტს აქვს სპეციფიკური ცოდნა, ფლობს უნარ-ჩვევებსა და მიდგომებს, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემენ ეფექტურად მართოს გაერცვლებული ქრონიკული და მწვავე მდგომარეობები, რომლებიც ტიპურია საოჯახო მედიცინისათვის. მოცემული დროისთვის რეზიდენტს შესწევს უნარი განახორციელოს დამოუკიდებელი უწყვეტი სამედიცინო დახმარება გარკვეული კონტინგენტისთვის.

2. პროფესიული მზადების III ეტაპის ამოცანები: მოცემული ეტაპის სპეციფიკური ამოცანები მოიცავს შემდეგს:

- ა) პირველადი ჯანდაცვის მართვა:
 - ა.ა) იმ მიდგომების ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტისათვის არასელექციური პრობლემების მქონე პაციენტისათვის მომსახურების ადვილად ხელმისაწვდომობას;
 - ა.ბ) ქრონიკული მდგომარეობების მართვის ორგანიზაციული მიდგომების ცოდნა;
 - ა.გ) იმ პრევენციული ღონისძიებების ცოდნა, რაც მოეთხოვება პრაქტიკას პირველად ჯანდაცვაში;
 - ა.დ) პრობლემების პრიორიტეტულობის განსაზღვრის უნარი;
 - ა.ე) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (კლინიკის) ორგანიზაციის ცოდნა;
 - ა.ვ) გუნდის სხვა წევრებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;
 - ა.ზ) გუნდური მუშაობის ჩვენება;

ა.თ) სხვა სპეციალისტებთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი;

ა.ი) კონსულტაციის, პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების განათლებისათვის საჭირო საკომუნიკაციო ჩვევები;

ა.კ) ჩანაწერების შენახვის, საინფორმაციო მენეჯმენტის, გუნდური მუშაობის, პრაქტიკის წარმმართვისა და მომსახურების ხარისხის აუდიტირებისათვის საჭირო საორგანიზაციო ჩვევები;

ა.ლ) პაციენტთან პარტნიორული კავშირის დამყარებისათვის საჭირო ურთიერთობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება და შენარჩუნება;

ა.მ) ეფექტური ლიდერობის, მოლაპარაკებისა და კომპრომისების ჩვევები.

ბ) პიროვნებაზე კონცენტრირებული დახმარება:

ბ.ა) კონცეფციური მიდგომა ოჯახის და თემის ფაქტორებისადმი; პიროვნების დამოკიდებულების, ფასეულობებისა და რწმენის სოციალური და კულტურული კონტექსტის გაგება;

ბ.ბ) ავადმყოფი პაციენტისა და ზოგადად დაავადების კონცეფციის ჩამოყალიბება;

ბ.გ) პაციენტზე ორიენტირებული საკონსულტაციო მოდელის განხორციელების უნარი, პაციენტის თავისებურებების/დამოკიდებულების გააზრებისა (მაგალითად, ყინულის გაღებვა, იდეები, ინტერესი და მოლოდინები) და მასთან მასწავლებლის დამოკიდებულების ინტეგრირებით, საერთო საფუძვლების ჩამოყალიბებისა და ერთიანი სამომავლო გეგმის ფორმირებისათვის;

ბ.დ) ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის სუბიექტური კომპონენტის ცოდნა, როგორც პაციენტის (მისი შეგრძნებები, ღირებულებები და წარმოდგენები), ასევე რეზიდენტის თვალსაწიერიდან (ფასეულობების, მიდგომებისა და შეგრძნებების თვითანალიზი);

ბ.ე) პაციენტთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და მიდგომები;

ბ.ვ) უნარ-ჩვევები და მიდგომები პაციენტთან დისტანცირებისა და ახლო ურთიერთობების დასაბალანსებლად;

ბ.ზ) უწყვეტობის სამი ასპექტის გაგება/შეთვისება: პიროვნული ურთიერთობის უწყვეტობა მთელი ცხოვრების განმავლობაში (მიდგომა ხანგრძლივი ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად ერთ პიროვნებასთან), ინფორმაციის მიწოდების უწყვეტობა – კონკრეტული პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყოველ საჭირო მომენტში (ინფორმაციის მიწოდება პერსონალურად და ელექტრონული სისტემის საშუალებით), მოვლის უწყვეტობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში (სამუშაო და არასამუშაო საათებში).

3. სპეციფიკური პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევები:

ა) მართვის გეგმაში პაციენტის ჩართვის სურვილი;

ბ) სამედიცინო გადაწყვეტილების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღების უნარი, დროის, როგორც სადიაგნოზო და სამკურნალო ბერკეტის გამოყენებით;

გ) პირველად ჯანდაცვაში პრობლემების გადაწყვეტის პროცესში გაურკვეველი, საეჭვო სიტუაციების აღმოცენების გარდუვალობის გაგება და მის მიმართ ტოლერანტობის გამომუშავება.

4. ყოვლისმომცველი მიდგომა:

ა) პოლინოზოლოგიურობის კონცეფციისა და შედეგების მისადაგება ყოველი ცალკეული პაციენტისათვის;

ბ) პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ერთდროულად მართვის უნარ-ჩვევა მათი იდენტიფიცირების, შესწავლის, ცნობის, პრიორიტეტულობის განსაზღვრის გზით;

გ) სამედიცინო ჩანაწერებისა და სხვა ინფორმაციის სათანადოდ გამოყენების უნარ-ჩვევა;

დ) საუკეთესო მტკიცებულებების მოძიებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

ე) ჯანმრთელობის კონცეფციის გაგება მთლიანობაში, მისი მრავალსახოვნების გათვალისწინებით;

ვ) ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა ყოველი ინდივიდის დონეზე, როგორც ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი;

ზ) ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობისა და პრევენციის განხორციელება სათანადო პროგრამების მეშვეობით;

თ) სხვადასხვა მიდგომების გამოყენების უნარი ცალკეული პაციენტის მიმართ;

ი) პრაქტიკის გუნდის საქმიანობის კოორდინაციის უნარი;

კ) თემის ჯანმრთელობის საჭიროებების გაგება პოპულაციის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით.

5. თემზე ორიენტაცია:

ა) თემის ჯანდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიონალებთან ერთობლივი საქმიანობა და მათი როლის გაცნობიერება;

ბ) პრაქტიკაზე და თემზე დაფუძნებული ინფორმაციის მნიშვნელობის გაცნობიერება პრაქტიკის ხარისხის უზრუნველყოფისათვის;

გ) ინდივიდებისა და თემის საჭიროებების შესაბამისობაში მოყვანა.

6. ჰოლისტური მიდგომა:

ა) პაციენტის, როგორც ბიოფსიქოსოციალური მთლიანობის გაგება;

ბ) ჰოლისტური გაგების პრაქტიკულ განზომილებებში ტრანსფორმაციის უნარ-ჩვევა;

გ) სამედიცინო დახმარებასთან მიმართებაში პაციენტის კულტურული და ეგზისტენციალური საფუძვლების ცოდნა;

დ) ტოლერანტობა და პაციენტის გამოცდილების, რწმენის, ფასეულობებისა და მოლოდინების გაგება, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მომსახურების მიწოდებაზე.

7. ტრენინგის ამ ნაწილის მახასიათებლები შეიძლება იქნეს:

ა) კონტექსტუალური:

ა.ა) ცოდნა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს მთლიანად სამუშაოს მოცულობა მის მიერ კონკრეტული პაციენტისთვის გაწეულ სამედიცინო დახმარების ხარისხზე;

ა.ბ) გაგება იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ექიმის საცხოვრებელი და სამუშაო პირობები მის მიერ გაწეულ სამედიცინო მომსახურების ხარისხზე;

ბ) მიდგომითი:

ბ.ა) ცოდნა იმისა, რა შესაძლებლობები და ფასეულობები გააჩნია ექიმს – ეთიკური ასპექტების იდენტიფიცირება კლინიკურ პრაქტიკაში (პრევენცია/დიაგნოზი/თერაპია/ცხოვრების სტილზე გავლენის მომხდენი ფაქტორები);

ბ.ბ) საკუთარი თავის შეცნობა: იმისი გაცნობიერება, რომ საკუთარი მიდგომები და შეგონებები პრაქტიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორებია;

ბ.გ) პირადი ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობას შორის კავშირის არსებობის გაცნობიერება, მათ შორის სათანადო ბალანსის დამყარება.

8. სწავლების/შეფასების მეთოდები მზადების III ეტაპზე

ა) ჩატარების ადგილი – პროგრამის ეს ნაწილი აგრეთვე განხორციელდება საოჯახო პრაქტიკაში. თითოეული რეზიდენტისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი ან სამი საოჯახო მედიცინის დაწესებულება არაერთგვაროვან პირობებში სამედიცინო მომსახურების განსხვავებულობის საილუსტრაციოდ (მაგალითად, სოფლად, შედარებით ქალაქთან ან დედაქალაქთან ახლოს). პროგრამის ამ ნაწილის მიმდინარეობისას შეიძლება დაიგეგმოს ვიზიტები სხვა სამედიცინო დაწესებულებებშიც (მაგალითად, ტუბდისპანსერი, ონკოლოგიური დისპანსერი, ტკივილის კლინიკა) ან ესა თუ ის ხანმოკლე კურსები;

ბ) დროის განრიგი – ეტაპის საერთო ხანგრძლივობაა 10 თვე, რაც მოიცავს 10 1-თვიან მოდულს (იხ. ზემოთ „სარეზიდენტო პროგრამის ეტაპების მოდულებად დაყოფა“).

გ) სწავლების მეთოდები – სწავლების ძირითადი მეთოდია რეზიდენტის მიერ ჩატარებულ კონსულტაციაზე ზედამხედველობა. სწავლება აუდიტორიაში სასურველია მოიცავდეს სხვადასხვა მეთოდებს: ლექციებს, მცირე ჯგუფებში დისკუსიას, დავალებების შესრულებას და სხვა მეთოდებს. ვიზიტები კლინიკებში და სხვა ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში ორგანიზებული უნდა იქნეს რეზიდენტების საჭიროებების გათვალისწინებით, მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ეს საჭიროებები;

დ) შეფასება – საბოლოო შეფასება უნდა განხორციელდეს გამოცდის ფორმით, პროფესიული მზადების დამთავრების შემდეგ. რეგულარული უკუკავშირი განხორციელდება ხელმძღვანელის მიერ რეზიდენტის წარმოებული საქმიანობის შესაბამისად.

მუხლი 9. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო რესურსები

1. რეზიდენტების მზადების ადეკვატური ხარისხით უზრუნველყოფისათვის აუცილებელია შემდეგი პერსონალის შერჩევა, მოწვევა და უწყვეტ პროფესიულ განათლებაში ჩართვა:

ა) მასწავლებელი – ე.წ. „ტუტორი“, რომელიც ზედამხედველობს რამდენიმე რეზიდენტის მზადებას;

ბ) ოჯახის ექიმი-მასწავლებელი – მოდულზე პასუხისმგებელი პირი პჯდ ცენტრში;

გ) შესაბამის სპეციალობაში სერტიფიცირებული ექიმი-მასწავლებელი – მოდულზე პასუხისმგებელი პირი შესაბამისი პროფილის სტაციონარსა და კლინიკაში;

2. საოჯახო მედიცინაში მზადების უდიდესი ნაწილი, კერძოდ, მზადების I და III ეტაპი ხორციელდება ოჯახის ექიმი-მასწავლებლის მონაწილეობით და/ან მათი მეთვალყურეობით.

3. მზადების II ეტაპზე ჩართული არიან შესაბამისი სპეციალობის ექიმები. მზადება საჭიროების მიხედვით მიმდინარეობს როგორც ამბულატორიულად ისე სტაციონარში.

4. ტუტორები უზრუნველყოფენ I ეტაპის შესავალი და დასკვნითი სესიების ჩატარებას, აგრეთვე II და III ეტაპის „უკუკავშირის“ სესიების ორგანიზებას.

5. ოჯახის ექიმი-მასწავლებელი არის სერტიფიცირებული ექიმი სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“, რომელიც დაუფლებულია მოზრდილთა სწავლების მეთოდებს. სასურველია, რომ მას გავლილი ჰქონდეს ოჯახის ექიმთა მასწავლებელთა ფორმალური კურსი, რომელიც ორიენტირებულია მოზრდილთა სწავლების მეთოდებზე.

6. მასწავლებლების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) მასწავლებლის პროფესიული ბიოგრაფია;

ბ) მისი, როგორც ექიმის შესაფერისობის შეფასება – პროფესიული საქმიანობის წარმოების ხარისხის თვალთახედვით და როგორც მასწავლებლის, სხვის განათლებაზე პასუხისმგებელი პირის თვალთახედვით;

გ) გასაუბრების შედეგები;

დ) სასწავლო დაწესებულების შეფასება. დასაწყისისთვის იგი უნდა მოიცავდეს პრაქტიკის დაწესებულების ვიზიტს დათვალიერების მიზნით. ვიზიტის დროს ყურადღება უნდა მიექცეს კლინიკურ საქმიანობას, ამ უკანასკნელის კულტურას და სწავლებისათვის საჭირო გარემოს არსებობას.

7. სასურველია, რომ ყველა მაძიებელს ჰყავდეს ერთი (ან ორი) კონკრეტული „მასწავლებელი“/ზედამხედველი მზადების I და III ეტაპზე, რომელიც პასუხისმგებელია

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის. ზედამხედველი უნდა იყოს ოჯახის ექიმი-მასწავლებელი.

ა) მასწავლებელი II ეტაპზე არის შესაბამის სპეციალობაში სერტიფიცირებული ექიმი, რომელიც დაუფლებულია მოზრდილთა სწავლების მეთოდებს, აქვს სათანადო პრაქტიკა (პაციენტების რაოდენობა, დაავადებათა სპექტრი) საავადმყოფოში და/ან ამბულატორიულ კლინიკაში და აქვს ოჯახის ექიმთა დიპლომის შემდგომი მზადების პროგრამაში მოანწილეობის სურვილი და მოტივაცია. მოდულზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელია მოდულის გავლაზე იმ კლინიკასა თუ ჰოსპიტალში, სადაც ის ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას;

ბ) მასწავლებელი – „ტუტორი“: ტუტორი არის აკადემიური პერსონალი (როგორც არჩეული აკადემიური პერსონალი, ისე მოწვეული პედაგოგი) სპეციალობაში „საოჯახო მედიცინა“, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობას მაძიებელთა ერთ ჯგუფზე, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს 6-8 მაძიებლით. ტუტორი უზრუნველყოფს:

ბ.ა) მზადების I ეტაპზე შესავალი და დასკვნითი სესიების ჩატარებას;

ბ.ბ) მზადების II ეტაპზე „უკუკავშირის“ სესიების უზრუნველყოფას;

ბ.გ) მზადების III ეტაპზე „უკუკავშირის“ სესიების უზრუნველყოფას.

მუხლი 10. პროგრამის მართვა და ადმინისტრირება

1. პროგრამას უნდა ჰყავდეს: მმართველი ორგანო და საკონსულტაციო საბჭო.

2. მმართველი ორგანო უშუალოდ პროგრამის განხორციელებაშია ჩართული და პასუხისმგებელია პროგრამის განხორციელებასა და მის ხარისხზე.

3. მმართველი ორგანო მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის კოორდინატორს ან კოორდინატორებს. რეზიდენტის რაოდენობის მიხედვით პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე კოორდინატორი.

4. ამასთან, ე.წ. „ტუტორებიც“, ფაქტობრივად, ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში და მისი ხარისხის უზრუნველყოფაში, რადგან მათ აქვთ რეგულარული შეხვედრა მათთან მიმაგრებულ 6-8 რეზიდენტთან/მაძიებელთან.

5. საკონსულტაციო საბჭო აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის, მისი მიზნების და ამოცანების, განხორციელების მეთოდების, ხარისხის, მზადებაში ჩართული პირების კომპეტენციის საკითხებზე მუდმივი მსჯელობისთვის და პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისთვის. საბჭოში მუშაობა არ არის ანაზღაურებადი.

მუხლი 11. პროგრამის ხანგრძლივობა

1. პროგრამის ხანგრძლივობა საშუალებას უნდა იძლეოდეს კომპეტენტური ოჯახის ექიმის მზადებისთვის. დღეს ევროპის ქვეყნებში მზადების ხანგრძლივობის მინიმალური სტანდარტი სპეციალობაში „ოჯახის ექიმი“/„ზოგადი პრაქტიკის ექიმი“ 3 წელია.

2. მზადების 3 წელი – 36 თვე შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

ა) 6 თვე – მზადების I ეტაპი;

ბ) 15 თვე – მზადების II ეტაპი;

გ) 12 თვე – მზადების III ეტაპი;

დ) 3 თვე – შვებულება.

ე) სულ 36 თვე.

3. შვებულების თვის შერჩევა დამოკიდებულია მზადების დაწყების თარიღზე და დაწესებულებაზე, სადაც რეზიდენტი/მაძიებელი გადის მზადებას. უხშირესად ეს არის აგვისტო. შვებულების თვე შეიძლება შეიცვალოს მზადების კლინიკური ბაზის

საჭიროებების მიხედვით. არ არის აუცილებელი შვებულებებს შორის ფიქსირებული ინტერვალების (მაგ., ზუსტად 11 თვის დაცვა).

მუხლი 12. პროგრამის განახლების პერიოდულობა

1. სასურველია პროგრამის პერიოდული განახლება. ამასთანავე, პროგრამა სტაბილურიც უნდა იყოს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი დანერგვა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა გათვითცნობიერება და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა და პროგრამის ეფექტურობის შეფასება.

2. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აგრეთვე პროგრამის ხანგრძლივობის გათვალისწინებით (3 წელი), სასურველია პროგრამის პირველი ძირეული განახლების საკითხი განხილული იქნეს არაუადრეს 5 წლისა მისი აღიარებიდან. პირველი ძირეული განახლების შემთხვევაში დადგინდება შემდგომი განახლების ვადები.

3. განახლების შესახებ საკითხის დასმის შემდეგ უნდა შეფასდეს, არის თუ არა ძირეული ცვლილების საჭიროება. აღნიშნულის შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება პროგრამის ძირეული განახლების შესახებ.

4. ამასთან, შესაძლებელია მისი ცალკეული ნაწილის შინაარსობლივი ცვლილება, რაც არ ეხება პროგრამის საერთო სტრუქტურას და პრინციპებს.

5. პროგრამის განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია მაძიებელთა გამოცდილებისა და შეხედულებების გაზიარება, მათი მოლოდინისა და მიღებული შედეგების ანალიზი, რადგან საბოლოო მიზანი მაინც მაძიებლის საჭიროებებისადმი მაქსიმალურად მისადაგებული პროგრამის ჩამოყალიბებაა.

მუხლი 13. პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან

1. პროგრამას საფუძვლად უდევს შემდეგი რეკომენდაციები და პროგრამები:

ა) ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის ევროპული ორგანიზაციის (WONCA) ზოგადი პრაქტიკის/საოჯახო მედიცინის ევროპული განმარტება (WONCA Europe [The European Society of General Practice/Family Medicine]: The European Definition of General Practice/Family Medicine; Barcelona: WONCA, 2002);

ბ) ოჯახის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიის (EURACT – European Academy of Teachers in General Practice) saganmanaTleblo programას Education Agenda; EURACT, Leuven 2005);

გ) ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის „რეზიდენტურის პროგრამის განმარტებები: წარმატების კრიტერიუმები“, მე-8 გამოცემა, 2011 წელი;

დ) ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიის კურიკულუმის მასალები ოჯახის ექიმთა რეზიდენტურაში მზადებისათვის (www.aafp.org), 2011 წელი;

ე) კანადის ოჯახის ექიმთა კოლეგიის (CFPC) „კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი“ (Triple C Competency-based Curriculum (Triple C)), 2011 წელი (მარტი);

ვ) კანადის ოჯახის ექიმთა კოლეგიის (CFPC) „კომპეტენციების განსაზღვრა სასერტიფიკაციო გამოცდისთვის კანადის ოჯახის ექიმთა კოლეგიის მიერ“, 2010 წელი;

ზ) კანადის ოჯახის ექიმთა კოლეგიის (CFPC) „CanMEDS – საოჯახო მედიცინა“ (CanMEDS-Family Medicine) – კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფის ანგარიში, 2009 წელი;

თ) დიდი ბრიტანეთის ზოგადი პრაქტიკის ექიმთა სამეფო კოლეგიის (RCGP) „სწავლებისა და სწავლის სახელმძღვანელო“, რომელიც ასახავს RCGP ძირითადი კურიკულუმის დებულებაში (RCGP core curriculum statement Being a General Practitioner) და RCGP

თავი II. პროგრამის I ეტაპი

მუხლი 14

1. სარეზიდენტო პროგრამის I ეტაპი მოიცავს 4 მოდულს (6 თვე):

№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)
I1	სპეციალობისა და პროფესიონალიზმის საფუძვლები	2
I2	ჯანდაცვის სისტემა და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია	1.5
I3	მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და ბიოსამედიცინო კვლევის საფუძვლები	1.5
I4	პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტკივილის მართვის საფუძვლები	1

2. თითოეული მოდული მოიცავს ქვესაკითხებს, რომელსაც ითვალისწინებს ტუტორი სამუშაოს დაგეგმვისა და წარმართვისას:

№	მოდულის დასახელება	საკითხები
1	სპეციალობისა და პროფესიონალიზმის საფუძვლები	საოჯახო მედიცინის შესავალი კურსი
		კომუნიკაციის უნარ-ჩვევები
		სამედიცინო ეთიკა ოჯახის ექიმის საქმიანობაში
2	ჯანდაცვის სისტემა და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია	საქართველოს ჯანდაცვის სისტემა
		ოჯახის ექიმის პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია
3	მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და ბიოსამედიცინო კვლევის საფუძვლები	მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა
		ბიოსამედიცინო კვლევის წარმოება საოჯახო მედიცინის სფეროში – შესავალი კურსი
4	პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტკივილის მართვის საფუძვლები	პრაქტიკული უნარ-ჩვევები ოჯახის ექიმის საქმიანობაში
		ტკივილის მართვის საფუძვლები

3. პირველი ეტაპის პირველი სამი მოდულის საკითხების შესწავლის სტრუქტურა ანალოგიურია – პირველი და ბოლო დღე ტუტორთან მუშაობა და დანარჩენი დღეები ოჯახის ექიმთან მუშაობა საოჯახო მედიცინის კლინიკაში.

4. თითოეული საკითხის პირველ დღეს რეზიდენტი/მაძიებელი ხვდება თავის ტუტორს დანარჩენ რეზიდენტებთან/მაძიებლებთან ერთად და ტუტორი მათ აცნობს საკითხის მიზნებს და ამოცანებს, აძლევს დავალებას.

5. შემდეგ რეზიდენტი/მაძიებელი მთელს დროს (გარდა ბოლო დღისა) ატარებს საოჯახო მედიცინის კლინიკაში.

6. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მოდულების დასახელება და საკითხების შინაარსი განსხვავდება, პრაქტიკული მუშაობის კომპონენტი ანალოგიურია და მოიცავს:

- ა) დასწრებას კონსულტაციებზე;
- ბ) ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობას;
- გ) სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობის მიღებას;
- დ) რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობას;
- ე) სხვადასხვა სპეციალისებთან კოორდინაცია-კომუნიკაციას;
- ვ) პაციენტის განათლებაში მონაწილეობას;
- ზ) ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობას;
- თ) კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრებას;
- ი) მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მოხსენებას კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინზე და გაიდლაინის დამტკიცების შემდეგ დაგროვილ ფაქტებსა და ახალ მიდგომებზე; ამასთან, მოხსენება შეიძლება ეხებოდეს ოჯახის ექიმის საქმიანობის ნებისმიერ ასპექტს;
- კ) ოჯახის ექიმის საქმიანობის სხვა კომპონენტებში ჩართულობას.

7. თითოეული მოდულის მიზნებიდან გამომდინარე, რეზიდენტი/მაძიებელი აგროვებს ინფორმაციას ტუტორის მიერ მიცემული დავალების შესახებ, რასაც ის ახორციელებს ოჯახის ექიმთან ერთად პრაქტიკული მუშაობის პროცესში.

მუხლი 15

1. მოდული I.1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – „სპეციალობისა და პროფესიონალიზმის საფუძვლები“, 2 თვე.

2. მოდულის მიზანი – მოდულის მიზანია (ა) რეზიდენტი გაეცნოს სპეციალობის საფუძვლებს (საოჯახო მედიცინა, როგორც დისციპლინა და სპეციალობა), (ბ) გამოიმუშაოს პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო კონსულტაციის ჩატარების უნარ-ჩვევები და (გ) გამოიმუშაოს საქართველოს კანონმდებლობაში გაცხადებული ნორმებისა და ბიოსამედიცინო ეთიკის პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.

3. სპეციფიკური ამოცანები პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო კონსულტაციის ჩატარების უნარ-ჩვევების გამოიმუშავებისას:

ა) პირველადი ჯანდაცვის მართვა:

ა.ა) შეეძლოს კლინიკურ პრაქტიკაში პროფესიული კომუნიკაციის ჩვევების გამოყენება (როგორც ორალური, ისე წერილი) დროისა და სხვა რესურსების ეფექტური ხარჯვის ფონზე;

ა.ბ) შეეძლოს ეფექტური/ადეკვატური ურთიერთობის დამყარება ჯანდაცვის პროფესიონალებთან ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ;

ა.გ) გამოიმუშაოს კომუნიკაციის ჩვევები საექიმო კონსულტაციის ჩასატარებლად, სწავლებისათვის, პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის დასამყარებლად;

ა.დ) გამოიმუშაოს პარტნიორობაზე, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის სტილი პაციენტებთან მუშაობისას;

ბ) პიროვნებაზე კონცენტრირებული დახმარება:

ბ.ა) შეეძლოს პაციენტის ჯანმრთელობის პრობლემის მიმოხილვა და ვიზიტის მიზეზების განსაზღვრა;

ბ.ბ) შეეძლოს შეაფასოს და მიმოიხილოს პაციენტის გათვითცნობიერებულობა და დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემისადმი და მისი მართვის საკითხებისადმი;

ბ.გ) შეეძლოს შეაფასოს და ადეკვატურად უპასუხოს პაციენტის წუხილს, დარდს მისი ჯანმრთელობის პრობლემებისა და ამ პრობლემების მართვის საკითხებთან დაკავშირებით;

ბ.დ) შეეძლოს მიაწოდოს პაციენტს შესაფერისი განმარტებები მისი ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და კითხვების შესახებ;

ბ.ე) შეეძლოს განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად გაიგო და სწორად აღიქვა ექიმის მიერ მიწოდებული განმარტებები და რამდენად მოახერხა ექიმმა პაციენტის წუხილსა და დარდზე ადეკვატურად რეაგირება.

გ) სპეციფიკური პრობლემების მოგვარების უნარ-ჩვევები:

გ.ა) გამოიმუშაოს ეფექტური კომუნიკაციის უნარი განსაკუთრებულ სიტუაციებში; კერძოდ, რეზიდენტს უნდა შეეძლოს: „ცუდი ამბების“ (პაციენტისათვის არასასიამოვნო ამბის) შეტყობინება; რეაგირება უკმაყოფილებზე, გაღიზიანებასა და აგრესიაზე; „რთული“ პაციენტის მართვა;

გ.ბ) შეეძლოს პაციენტის ჩართვა მისი ჯანმრთელობის პრობლემების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

გ.გ) შეეძლოს, წარმართოს კონსულტაცია იმ სახითა და თანმიმდევრობით, რაც შეესაბამება პაციენტის საჭიროებებს; ამასთან, ერთი მხრივ, ჩართოს პაციენტი კონსულტაციის პროცესში, ხოლო მეორე მხრივ, ეფექტურად გამოიყენოს დრო;

დ) ყოვლისმომცველი მიდგომა:

დ.ა) გამოიმუშაოს უნარი, დაარწმუნოს ცალკეული პაციენტი ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობის აუცილებლობაში თითოეული სამედიცინო პრობლემის მართვისას;

დ.ბ) შეეძლოს კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის საჭიროებისდა მიხედვით გამოყენება, ზოგჯერ ერთსა და იმავე პაციენტთან ურთიერთობისას;

ე) თემზე ორიენტაცია:

ე.ა) შეეძლოს, ხელი შეუწყოს პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებული რესურსების გამოყენებას (პაციენტის გაგზავნა კონსულტაციაზე – „რეფერალი“, თანაგახდის სისტემები, ავადმყოფობის ფურცელი, სხვადასხვა სამართლებრივი საკითხები და სხვ.);

ე.ბ) ახსნას, თუ როგორ არის ცალკეული ინდივიდის საჭიროება გადაჯაჭვული თემის საჭიროებებთან, სადაც ისინი ცხოვრობენ;

ვ) პოლისტური მიდგომა:

ვ.ა) შეეძლოს პაციენტთან კარგი ურთიერთობის დამყარება და მის მიმართ, როგორც პიროვნებისადმი, პატივისცემის გამოხატვა;

ვ.ბ) იქონიოს პაციენტთან ადეკვატური ურთიერთობა პაციენტის ფასეულობების, კულტურული თავისებურებების, ტრადიციების, გამოცდილების, რწმენისა და მოლოდინის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სამედიცინო მომსახურების გაწევაზე.

4. ზემოთ მოხსენიებულთან ერთად რეზიდენტურის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს გამოიმუშაოს უნარ-ჩვევები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

ა) კონტექსტუალური: გაითვალისწინოს პიროვნების, ოჯახის, თემის თავისებურებები და დაამყაროს ეფექტური ურთიერთობა პაციენტებთან განსხვავებული პიროვნული და კულტურული მახასიათებლებით;

ბ) დამოკიდებულებითი: საკუთარი შესაძლებლობების, ფასეულობებისა და ეთიკური პრინციპების გათვალისწინებით შეაფასოს და გაიაზროს, თუ როგორია მისი შეგრობებები და დამოკიდებულება განსხვავებულ სიტუაციებში; გამოიმუშაოს საჭირო ინფორმაციისა და მხარდაჭერის მოძიების უნარი; აგრეთვე, გამოიმუშაოს ჩვევები, რომელიც მას

დაეხმარება ისეთი სიტუაციებში, სადაც ექიმი განიცდის ძლიერ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას (მაგ., „რთული პაციენტი“, სამედიცინო შეცდომები);

გ) მეცნიერული: გამოიმუშაოს კრიტიკული და მეცნიერებაზე დაფუძნებული მიდგომა პროფესიულ საქმიანობაში.

5. სპეციფიკური ამოცანები სამართლებრივი და ეთიკური ნორმებისა და პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის გამომუშავებისას: მოდულის გავლის შემდეგ მაძიებელს უნდა ჰქონდეს:

ა) პროფესიული საქმიანობისას კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი და ეთიკური მხარეების წარმოჩენის უნარი;

ბ) ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის თანამედროვე სამედიცინო ეთიკის პრინციპებისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის უნარი, მათ შორის, პროფესიული საქმიანობის პროცესში სამართლებრივი კოლიზიებისა და ეთიკური დილემების გადაწყვეტის უნარი.

6. ლიტერატურის ნუსხა:

ა) სპეციალობის შესახებ:

ა.ა) The European Definition of General Practice/Family Medicine; Barcelona: WONCA, 2002;

ა.ბ) The EURACT Educational Agenda of General Practice/Family Medicine; EURACT Leuven, 2005;

ა.გ) Essentials of Family Medicine, (fifth edition) by Philip Sloan, 2007;

ა.დ) Havelock P., Hasler J., Flew R., McIntyre D., Schofield T., Toby J. (1995) Professional Education for General Practice. Oxford General Practice Series 31. Oxford University Press, Oxford, New York, Toronto;

ა.ე) Jones R (Ed). Oxford Textbook of Primary Medical Care Oxford: Oxford University Press, 2004;

ა.ვ) McWhinney IR A Textbook of Family Medicine Oxford: Oxford University Press, 2004;

ა.ზ) Rakel RE. Textbook of Family Practice 6th edition London: W.B. Saunders, 2001;

ა.თ) Bordage G and Zacks R. The Structure of Medical Knowledge in the Memories of Medical Students and General Practitioners: Categories and Prototypes. Medical Education 1984; 18: 406–16;

ა.ი) Bordage G. Elaborated Knowledge: A Key to Successful Diagnostic Thinking Acad Med 1994; 69:883–5;

ა.კ) Little M., Midtling J.E. (1989) Becoming a Family Physician. Springer – Verlag New York;

ბ) კომუნიკაციის შესახებ და კონსულტაციის მეთოდების თაობაზე:

ბ.ა) Mead N, Bower P. „Patient-centredness: a conceptual framework and review of the empirical literature.” Social Science & Medicine 2000; 51: 1087–1110;

ბ.ბ) Stewart M, Brown, JB, Freeman, TR. Patient-Centered Medicine. Transforming the Clinical Method (2nd edn). Oxford: Radcliffe Medical Press, 2003;

ბ.გ) Silverman J, Kurtz S, Draper J. Skills for communicating with patients (2nd edition). Oxford: Radcliffe Medical Press, 2004;

ბ.დ) Kurtz S, Silverman J, Draper J. Teaching and learning communication skills in medicine (2nd edition). Oxford: Radcliffe Medical Press, 2004;

ბ.ე) Maguire, Pitceathly C. „Key communication skills and how to acquire them.” BMJ 2002; 325: 697–700;

ბ.ვ) BMA. Communication skills and continuing professional development London, BMA, 1998;

ბ.ზ) Midland Faculty of the Royal College of General Practitioners Consulting: Communication skills for general practitioners Birmingham: Midland Faculty of the Royal College of General Practitioners 2005;

ბ.თ) Kjeldmand D Balint training makes GPs thrive better in their job. Patient Education and Counselling 2004; 55: 2: 230-235;

- ბ.ი) Smith RC, Marshall-Dorsey AA, Osborn GG, Shebroe V, Lyles JS, Stoffelmayr BE, Van Egeren LF, Mettler J, Maduschke K, Stanley JM, Gardiner JC. Evidence-based guidelines for teaching patient-centered interviewing. Patient Educ Couns. 2000 Jan; 39(1):27-36;
- ბ.კ) Pendleton D, Hasler J. Doctor Patient Communication, 1983 London;
- ბ.ლ) Buckman R. How to Break Bad News, Macmillan Press, 1992;
- ბ.მ) Ungar L, Alperin M, Amiel GE, Beharier Z, Reis S. Breaking bad news: structured training for family medicine residents. Patient Educ Couns. 2002 Sep; 48(1): 63-8;
- ბ.ნ) Smith R.C. The patient's story: Integrated patient–doctor interviewing. Little, Brown and Company (now Lippincott, Williams and Wilkins), Boston (1996);
- ბ.ო) Beckman HB, Frankel RM. The effect of physician behaviour on collection of data. Ann Intern Med, 1984; 101:692-6;
- ბ.პ) Baile, W.F.; Buckman, R.; Lenzi, R.; Glober, G.; Beale, E.A.; Kudelka, A.P. SPIKES-A six-step protocol for delivering bad news: application to the patient with cancer. Oncologist. 2000;5(4):302-311;
- ბ.ჟ) Newman, M.C. The emotional impact of mistakes on family physicians. Archives of Family Medicine, 1996; 5(2): 71-76;
- ბ.რ) Rubin S.B, Zoloth L. Margin of error. The ethics and mistakes in the practice of medicine. University Publishing group, Hagerstown, Maryland;
- ბ.ს) Rowland-Morin PA, Carroll JG. Verbal communication skills and patient satisfaction. A study of doctor-patient interviews. Eval Health Prof., 1990; 13(2):168-185;
- გ) ექიმის საქმიანობის სამართლებრივი და ეთიკური საკითხების შესახებ:
- გ.ა) „საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, ძირითადი ეტაპები)“; კიკნაძე, ჯავაშვილი, ბარკალაია; ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი I, 1998, 15-20;
- გ.ბ) პაციენტის უფლებები და მათი განხორციელების მექანიზმები: კიკნაძე, ჯავაშვილი თბილისი, 1999;
- გ.გ) „პაციენტის ომბუდსმენი: იდეიდან რეალიზაციამდე“; ჯავაშვილი, კიკნაძე საქართველოს ბიოეთიკის და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, თბილისი, 2001. ISBN 99928-908-1-9;
- გ.დ) „ადამიანის უფლებები ბიომედიცინის სფეროში“; ჯავაშვილი, კიკნაძე, ბარკალაია; საქართველოს ბიოეთიკის და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, თბილისი, 2001. ISBN 99928-908-0-0;
- გ.ე) „ექიმის პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“; კიკნაძე, ჯავაშვილი საქართველოს ბიოეთიკის და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, თბილისი, 2002. ISBN 99928-908-5-1;
- გ.ვ) „ჯანდაცვის ომბუდსმენი: პირველი ნაბიჯები“; ჯავაშვილი, კიკნაძე საქართველოს ბიოეთიკის და ჯანდაცვის სამართლებრივი საკითხების შემსწავლელი საზოგადოება, თბილისი, 2002. ISBN 99928-908-8-6;
- გ.ზ) „პაციენტის მკურნალობა და მოვლა დაავადების ტერმინალურ სტადიაზე: საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა“; ჯავაშვილი, კიკნაძე; „თანამედროვე მედიცინა“, ტომი 1, №3;
- გ.თ) „იელოვას მოწმეთათვის მკურნალობის მიზნით სისხლის გადასხმის ეთიკური და სამართლებრივი საკითხები“; კიკნაძე, ჯავაშვილი, ბარკალაია; „თანამედროვე მედიცინა“, ტომი 1, №1, გვ. 37-44;
- გ.ი) „Encyclopedia of Bioethics“, Warren Thomas Reich (Ed.), Simon & Schuster Macmillan, New York, 1995 (5 Volumes);
- გ.კ) „Principles of Biomedical Ethics“ (4th Ed.), T.L. Beauchamp, J.F. Childress, Oxford University Press, 1994;

გ.ლ) „Ethical Issues in Modern Medicine” (5th Ed.), John D. Arras, Mayfield Publishing Company, 1999;

გ.მ) „Principles of modern medical ethics and Health care professionals; Relation between health and education: from declaration to implementation (Georgian Experience)” Kiknadze, Javashvili;

გ.ნ) „Patients' rights legislation in Georgia” Kiknadze, Javashvili, Barkalaia; „Journal of Health Sciences and Public Health”, Volume 1, Number 1, 2000, 17-26;

გ.ო) „Ethics committees in Georgia”; Javashvili, Kiknadze „Ethics Committees in Central and Eastern Europe”, 2000, Charis – IMEB Fdn. Bratislava, Slovakia 179-185 ISBN 80-88743-40-0;

გ.პ) „Georgian Legislation on Human Rights in the sphere of health care and biomedicine: Current trends and harmonisation with international developments”; Javashvili, Kiknadze; in „Europe and its impact on National Healthcare systems Yearbook 2001”, 2002, Erasmus University Press, Rotterdam, The Netherlands, 60-72, ISBN 90 807503 I X;

გ.ჟ) „Treatment and care at the end-of-life: Review of Georgian Legislation” Javashvili, Kiknadze; in „Ethical Eye”, 2003, Council of Europe Publishing, Strasbourg, France, In Press;

გ.რ) „A Clinician’s Commentary from a Post-Soviet Society on Organizational Issues of Care for Alzheimer’s Disease”; Javashvili; in „Book on Alzheimers's Disease”, 2003, Johns Hopkins University Press. in press.

7. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ პირველადი ჯანდაცვა ჯანდაცვის არსი და მნიშვნელობა, მისი მიზნები; ▪ საოჯახო მედიცინის განმარტება, საოჯახო მედიცინა, როგორც დისციპლინა და სპეციალობის ძირითადი მახასიათებლები და კომპეტენციები; ▪ საოჯახო მედიცინის ჩამოყალიბება და განვითარება ევროპასა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში; საოჯახო მედიცინა საქართველოში. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ მსჯელობა პირველადი ჯანდაცვის როლსა და მნიშვნელობაზე; ▪ მსჯელობა საოჯახო მედიცინაზე როგორც დისციპლინაზე და სპეციალობაზე; ▪ ოჯახის ექიმის კომპეტენციების და მახასიათებლების ანალიზი, მაგალითების მოყვანა და თითოეულის მნიშვნელობის დასაბუთება; ▪ კონსულტაციის ჩატარება; ▪ ანამნეზის შეკრება; ▪ რეფერალის ორგანიზება. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ კლინიკის გაცნობა – 1; ▪ დასწრება კონსულტაციებზე – 50; ▪ ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 10; ▪ ვიტალური ნიშნების შეფასება (P, TA, R) – 10; ▪ სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 50; ▪ რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 10; ▪ სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; ▪ პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 10; ▪ ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; ▪ კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 3-6; ▪ მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესრულებული სამუშაო დღეები; ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ ესე; ▪ მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ▪ ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს.

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
		<p>მიერ შერჩეულ თემაზე – 1.</p> <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა. 	

ცხრილი №2

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> პაციენტზე ორიენტირებული კონსულტაცია, კონსულტაციის მიზნები და ამოცანები, კონსულტაციის ეტაპები; არავერბალური კომუნიკაცია სამედიცინო კონსულტაციის დროს კითხვების ფორმულირება და პაციენტის მოსმენა; პაციენტის მოსაზრებები, შეხედულებები და მოლოდინი სამედიცინო კონსულტაციასთან დაკავშირებით; ახსნა-განმარტებების მიწოდება, ინფორმირებული თანხმობის მიღება და ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების განიხილვა; კონსულტაციის დრო და ურთიერთობა ექიმსა და პაციენტს შორის; „ცუდი ამბების“ (პაციენტისათვის არასასაიმოვნო ამბის) შეტყობინება; რეაგირება უკმაყოფილებზე, გაღიზიანებასა და აგრესიაზე; „რთული“ პაციენტის მართვა; 	<ul style="list-style-type: none"> პაციენტზე ორიენტირებული კონსულტაციის ჩატარება; პაციენტისათვის კომფორტის შექმნა, პირადული გარემოს უზრუნველყოფა; არავერბალური კომუნიკაციის უნარ ჩვევები (პაციენტის მიღება, მოთავსება, დისტანცია, ექიმის პოზა, თვალით კონტაქტი და ა.შ.); ღია და დახურული კითხვების გამოყენება და აქტიური მოსმენის უნარი; პაციენტის ვიზიტის მიზეზის გამოვლენა; პაციენტის მოლოდინის, შეხედულებების გამოვლენა; კონსულტაციების ეტაპების თანმიმდევრული გავლა; კონსულტაციის შეჯამება; პაციენტისათვის მკაფიო განმარტებების და რჩევების მიწოდება; კარგი ურთიერთობის შენარჩუნება კონსულტაციის განმავლობაში დამის შემდეგ. 	<ul style="list-style-type: none"> დასწრება კონსულტაციებზე – 100; ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 30; ფიზიკური გასინჯვა – 20; სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 100; რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 20; სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 20; ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 4-8; მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; სხვადასხვა. 	<ul style="list-style-type: none"> შესრულებული სამუშაო დღეები; ჩატარებული კონსულტაციები; ესე; მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს;

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ექიმის დამოკიდებულება სამედიცინო შეცდომებისადმი. 			

ცხრილი № 3

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> კანონისა და ეთიკის როლი სამედიცინო მომსახურების გაწევისას. სამედიცინო ეთიკის პრინციპები: პაციენტის ინდივიდუალური უფლებები, საქართველოს კანონმდებლობა; ინფორმირებული თანხმობა, პაციენტის ქმედუნარიანობა და მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი; სიკვდილისა და ევთანაზიის, მკურნალობაზე უარის თქმის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები; სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის შეწყვეტის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები; უსარგებლო სამედიცინო ჩარევა/პაციენტის გაუმართლებელი მოთხოვნა; პედიატრიული პრაქტიკის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები; პალიატიური მზრუნველობის და ტკივილის მართვის 	<ul style="list-style-type: none"> კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი და ეთიკური მხარეების წარმოჩენის უნარი; პრობლემის ანალიზის უნარი თანამედროვე ეთიკის პრინციპების და კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე; სამართლებრივი კოლიზიებისა და ეთიკური დილემების გადაწყვეტის უნარი; ეთიკური და სამართლებრივი პრობლემის გადაჭრაში ორგანიზაციული რესურსების გამოყენების უნარი; პაციენტის სრულყოფილად ინფორმირების უნარი; სარწმუნო (არა ფიქტიური) ინფორმირებული თანხმობის მიღების უნარი; კონფიდენცი ალურობის დაცვის უნარი, პირადი პასუხისმგებლობის და გარემო პირობების 	<ul style="list-style-type: none"> დასწრება კონსულტაციებზე – 75; ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 20; ფიზიკური გასინჯვა – 15; სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 75; რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 15; სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 10; ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 3-6; მოსხენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; სხვადასხვა. 	<ul style="list-style-type: none"> შესრულებული სამუშაო დღეები; ჩატარებული კონსულტაციები; ესე; მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს;

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<p>ეთიკური საკითხები;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ რთული პაციენტი; ▪ არასაკმარისი რესურსები ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, ორგანიზაციული ეთიკა და მართვადი ჯანდაცვის სისტემა; ▪ პაციენტის უფლებების დაცვა სამედიცინო დაწესებულებაში; ▪ ექიმის ფიცი, ექიმის ქცევის კოდექსი, ექიმის ქცევის წესები; ▪ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა; ▪ სპეციფიკური გარემოებები (პაციენტები, მეთოდები სხვა გარემოებანი) 	<p>უზრუნველყოფის ხარჯზე;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პაციენტის პირადი ცხოვრების (პირადულობის) დაცვის უნარი; ▪ საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სამედიცინო ეთიკის პრინციპებისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად 		

მუხლი 16

1. მოდული I.2. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – „ჯანდაცვის სისტემა და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაცია“, 1.5 თვე.

2. მოდულის მიზანი – მოდულის მიზანია (ა) საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, მისი ფუნქციონირების, დაგეგმვისა და მართვის თავისებურებების, საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემების სპეციფიკურობისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების გაცნობა რეზიდენტისათვის, (ბ) გამოუმუშაოს რეზიდენტს ოჯახის ექიმის პრაქტიკის მართვის ჩვევები (მათ შორის, განსხვავებულ გარემოში; სახელმწიფო და კერძო სექტორში, ქალაქად, ურბანიზებულ რაიონებში და სოფლად, ჯანდაცვის განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე რეგიონებში და მწირი რესურსების პირობებში).

3. ლიტერატურის ნუსხა:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულება და შემდეგი დოკუმენტები:

ა.ა) ჯანდაცვის სისტემის სტრატეგიული განვითარების შესახებ;

ა.ბ) პირველადი ჯანდაცვის და პოსპიტალური სექტორის განვითარების შესახებ;

ა.გ) სპეციალობათა ნუსხის შესახებ;

ა.დ) ხარისხის მართვის, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების, უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ;

ა.ე) სტატისტიკის, ეპიდზედამხედველობის და ანგარიშგების შესახებ;

ბ) „საქართველოს ჯანდაცვა“ – ყოველწლიური ანგარიშები;

გ) „საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში (მოკლე ქრონოლოგიური მიმოხილვა, ძირითადი ეტაპები)“; კიკნაძე, ჯავაშვილი, ბარკალაია; ჯანდაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტომი I, 1998, 15-20;

დ) პაციენტის უფლებები და მათი განხორციელების მექანიზმები – კიკნაძე, ჯავაშვილი თბილისი, 1999.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის თავისებურებები და პრიორიტეტები; ▪ პირველადი ჯანდაცვა; ▪ ჰოსპიტალური სექტორი; ▪ ჯანდაცვის დაფინანსება; ▪ სამედიცინო დაზღვევის სისტემა; ▪ სამედიცინო მომსახურების ხარისხი; ▪ ჯანდაცვის სფეროს რეგულირება; ▪ სისტემის შეფასება; ▪ კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინები; ▪ კლასიფიკატორები; ▪ წამლის პოლიტიკა; ▪ საზოგადოებრივი ჯანდაცვა; ▪ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: ფუნქციები, სტრუქტურები, მართვის მეთოდები 	<ul style="list-style-type: none"> ▪ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ძირითად მახასიათებლებზე მსჯელობის უნარი; ▪ ინფორმაციის მოძიების უნარი ჯანდაცვის სისტემის რეგულაციის სფეროში, მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული აქტების მოძიების უნარი; ▪ ქვეყანაში ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითად მიზეზების შესახებ მსჯელობა და შესაბამისი ინფორმაციის მოძიების უნარი; ▪ კლასიფიკატორების მოძიების და გამოყენების უნარი. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ დასწრება კონსულტაციებზე – 100; ▪ ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 30; ▪ ფიზიკური გასინჯვა – 20; ▪ სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 100; ▪ რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 20; ▪ სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; ▪ პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 20; ▪ ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; ▪ კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 4-8; ▪ მოსხენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; ▪ სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესრულებული სამუშაო დღეები; ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ ესე; ▪ მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ▪ ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს;

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროფესიული საქმიანობის სახის, ადგილის, გარემოს 	<ul style="list-style-type: none"> ▪ პირადი და პროფესიული ინტერესების 	<ul style="list-style-type: none"> ▪ დასწრება კონსულტაციებზე – 100; ▪ ანამნეზის 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესრულებული სამუშაო დღეები;

<p>შეფასება;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ დაწესებულებების ტიპები, თავისებურებები; ▪ ოფისის ორგანიზაცია (შიდა კომუნიკაციის ჯაჭვი, განრიგი, დამხმარე პერსონალის რაოდენობა და ტიპი, კომპიუტერული სისტემები, მომარაგება და ინვენტარის მოვლა) ▪ დაწესებულებების საქმიანობა: პაციენტები, მომწოდებლები, დაზღვევა და ა.შ. ▪ სამედიცინო ჩანაწერების ორგანიზაცია ▪ კონსულტაციების ორგანიზება, პაციენტების განათლების ორგანიზება ▪ დაავადებების გამოვლენის სისტემები და პრევენციული მომსახურება ▪ მიმღები რგოლის ფუნქციები ▪ რისკის მართვა და საკანონმდებლო საკითხები ▪ კომპიუტერული რესურსების გამოყენება; ▪ ურთიერთობები პერსონალს შორის ▪ დაფინანსების მოდელი; ▪ გადახდის სისტემები 	<p>ბალანსირება;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პრაქტიკის ტიპის შერჩევა; ▪ მოლაპარაკების წარმოება ეთიკური პრინციპების გამოყენებით; ▪ კონსულტანტებისა და მომწოდებლების წინდახედული შერჩევა და გამოყენება; ▪ კომპიუტერული პროგრამების პრაქტიკის მართვისთვის გამოყენება; ▪ დროის მართვა; ▪ კომუნიკაციის წარმოება ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან (სიტყვიერი, წერილობითი) ▪ რესურსების მართვა. 	<p>შეკრებაში მონაწილეობა – 30;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ფიზიკური გასინჯვა – 20; ▪ სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 100; ▪ რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 20; ▪ სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; ▪ პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 20; ▪ ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; ▪ კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 4-8; ▪ მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; ▪ სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ ესე; ▪ მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ▪ ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს.
---	--	--	--

მუხლი 17

1. მოდული I.3. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – „მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა და ბიოსამედიცინო კვლევის საფუძვლები“, 1.5 თვე.

2. მოდულის მიზანი – მოდულის მიზანია (ა) გააცნოს რეზიდენტს მტკიცებულებითი მედიცინის საფუძვლები, გამოუმუშაოს მას უნარი გამოიყენოს მტკიცებულებითი მედიცინის მეთოდები და რესურსები კონკრეტული სამედიცინო პრობლემის გადასაჭრელად და (ბ) მიაწოდოს ინფორმაცია რეზიდენტს პირველადი ჯანდაცვის

სფეროში ბიოსამედიცინო კვლევების წარმოების თავისებურებების შესახებ, კვლევის შესაძლო მიმართულებების, თემებისა და მიდგომების თაობაზე; გამოუმუშაოს უნარი რეზიდენტს შეარჩიოს კვლევის საგანი არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე და მიუსადაგოს მის მიერ დასახულ მიზანს კვლევის თანამედროვე და ადეკვატური მეთოდები.

3. ლიტერატურის ნუსხა:

ა) მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის საკითხები:

ა.ა) Haynes RB, Sackett RB, Gray JMA, Cook DC, Guyatt GH. Transferring evidence from research into practice: 1. The role of clinical care research evidence in clinical decisions. ACP Journal Club. 1996 Nov-Dec;125:A-14-15;

ა.ბ) Guyatt GH, Sackett DL, Cook DJ for the Evidence-based Medicine Working Group. Users' guides to the medical literature. II – How to use an article about therapy or prevention. Part B. What were the results and will they help me in caring for my patients. JAMA 1994;271:59-63;

ა.გ) Introduction to Research: Understanding and Applying Multiple Strategies, Elizabeth Depoy, Laura N. Gitlin, 2005, Elsevier Health Sciences;

ა.დ) Foundations of Clinical Research: Applications to Practice, Leslie Gross Portney, Mary P. Watkins, 1999, Pearson Education;

ა.ე) Interpreting the Medical Literature, Stephen H. Gehlbach 2002 McGraw-Hill Companies, The Studying a Study and Testing a Test: How to Read the Medical Evidence 5e, Richard K. Riegelman, 2004 Lippincott Williams & Wilkins;

ა.ვ) Data Monitoring and Case Studies in Clinical Trials, David L. Demets (Editor), Lawrence Friedman (Editor), Curt D. Furberg (Editor), 2005, Springer-Verlag New York, LLC;

ა.ზ) Basic and Clinical Biostatistics, Beth Dawson, Robert G. Trapp 2004, McGraw-Hill Companies;

ა.თ) Primer of Biostatistics Stanton A. Glantz 2005, McGraw-Hill Medical Publishing;

ა.ი) Biostatistics: A Foundation for Analysis in the Health Sciences, Wayne, W. Daniel, Noel A. C. Cressie (Editor), David J. Balding (Editor), Ian M. Johnstone (Editor) 2004, Wiley, John & Sons, Incorporated;

ა.კ) Evidence Based Medicine: How to Practice and Teach EBM Sharon E. Straus, R. Brian Haynes, W. Scott Richardson, Paul Glasziou 2005, Elsevier Health Sciences;

ა.ლ) Users' Guides to the Medical Literature: Essentials of Evidence-Based Clinical Practice, Evidence-Based Medicine Working Group, Drummond Rennie, Preface by Gordon H. Guyatt 2002 American Medical Association;

ა.მ) Evidence-Based Medicine Guidelines, Staff of Duodecim Medical Publications, Duodecim Medical Publications Staff, Ilkka Kunnamo, 2005, Wiley, John & Sons, Incorporated;

ა.ნ) mtkicebulebebeze dafuZnebuli medicinis sferoSi gamoyenebul terminTa ganmartebani (Semdg. givi javaSvili): <http://www.afdg.ge/index.php?act=page&id=6>;

ბ) კმდ-ში ბიოსამედიცინო კვლევის წარმოების საკითხები:

ბ.ა) Introduction to Research: Understanding and Applying Multiple Strategies, Elizabeth Depoy, Laura N. Gitlin, 2005, Elsevier Health Sciences;

ბ.ბ) Foundations of Clinical Research: Applications to Practice, Leslie Gross Portney, Mary P. Watkins, 1999, Pearson Education;

ბ.გ) Interpreting the Medical Literature, Stephen H. Gehlbach 2002 McGraw-Hill Companies, The Studying a Study and Testing a Test: How to Read the Medical Evidence 5e, Richard K. Riegelman, 2004 Lippincott Williams & Wilkins;

ბ.დ) Data Monitoring and Case Studies in Clinical Trials, David L. Demets (Editor), Lawrence Friedman (Editor), Curt D. Furberg (Editor), 2005, Springer-Verlag New York, LLC;

ბ.ე) Basic and Clinical Biostatistics, Beth Dawson, Robert G. Trapp 2004, McGraw-Hill Companies;

ბ.ვ) Primer of Biostatistics Stanton A. Glantz 2005, McGraw-Hill Medical Publishing;

ბ.ზ) Biostatistics: A Foundation for Analysis in the Health Sciences, Wayne, W. Daniel, Noel A. C. Cressie (Editor), David J. Balding (Editor), Ian M. Johnstone (Editor) 2004, Wiley, John & Sons, Incorporated;

ბ.თ) Evidence Based Medicine: How to Practice and Teach EBM Sharon E. Straus, R. Brian Haynes, W. Scott Richardson, Paul Glasziou 2005, Elsevier Health Sciences;

ბ.ი) Users' Guides to the Medical Literature: Essentials of Evidence-Based Clinical Practice, Evidence-Based Medicine Working Group, Drummond Rennie, Preface by Gordon H. Guyatt 2002 American Medical Association.

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის საფუძვლები; ▪ კლინიკურ პრაქტიკაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების გამოყენება: (ა) პრობლემა-მის განსაზღვრა და კლ. კითხვის ფორმულირება; (ბ) მტკიცებულების მოძიება; (გ) მტკიცებულებების შეფასება; (დ) გადაწყვეტილების მიღება; (ე) მოქმედების შედეგის შეფასება; ▪ კლინიკური პრაქტიკის „გაიდლაინების“ და „პროტოკოლების“ არსი, მნიშვნელობა, შემუშავებისა და გამოყენების გზები და სფეროები; ▪ კლინიკური ლიტერატურის კრიტიკული შეფასება 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ძველი და მიმდინარე კლინიკური პრაქტიკის ანალიზის უნარი და მიღებული გამოცდილებით მომავალი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება; ▪ სათანადო კითხვის დასმის უნარი; ▪ ლიტერატურის ძიების უნარი ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსების გამოყენებით ▪ ლიტერატურის გამოყენების უნარი კონკრეტული პაციენტის კლინიკურ პრობლემა-სთან დაკავშირებით. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ დასწრება კონსულტაციებზე – 100; ▪ ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 30; ▪ ფიზიკური გასინჯვა – 20; ▪ სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 100; ▪ რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 20; ▪ სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; ▪ პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 20; ▪ ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; ▪ კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 4-8; ▪ მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; ▪ სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესრულებული სამუშაო დღეები; ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ ესე; ▪ მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ▪ ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
----------------	-------------------------	--------------------------------------	--------------------

<ul style="list-style-type: none"> ▪ ბიოსამედიცინო კვლევის არსი; კვლევა და აუდიტი; ▪ კვლევის ელემენტები; ▪ კვლევის დიზაინი და მისი ფორმები; ▪ საკვლევის მასალა; ▪ შედეგების დამუშავების და ანალიზის მეთოდები; ▪ კვლევის საკითხის შერჩევა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ კვლევის მნიშვნელობაზე მსჯელობა პირველად ჯანდაცვაში; ▪ კვლევის პრიორიტეტები პირველად ჯანდაცვაში; ▪ კვლევის საკითხის შერჩევა; ▪ ლიტერატურის მოძიება და ანალიზი; ▪ მსჯელობა კვლევის დიზანზე 	<ul style="list-style-type: none"> ▪ დასწრება კონსულტაციებზე – 50; ▪ ანამნეზის შეკრებაში მონაწილეობა – 15; ▪ ფიზიკური გასინჯვა – 10; ▪ სამედიცინო ჩანაწერების წარმოებაში მონაწილეობა – 50; ▪ რეფერალის ორგანიზებაში მონაწილეობა – 10; ▪ სხვადასხვა სპეციალისტებთან კოორდინაცია-კომუნიკაცია – 5; ▪ პაციენტის განათლებაში მონაწილეობა – 10; ▪ ოჯახის ექიმის ანგარიშების მომზადებაში მონაწილეობა – 5; ▪ კლინიკაში ორგანიზებულ კლინიკურ გარჩევებზე დასწრება – 2-4; ▪ მოხსენების გაკეთებას ხელმძღვანელის მიერ შერჩეულ თემაზე – 1; ▪ სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შესრულებული სამუშაო დღეები; ▪ ჩატარებული კონსულტაციები; ▪ ესე; ▪ მოდულზე პასუხისმგებელი პირის შეფასება; ▪ ტუტორის შეფასება დასკვნითი სესიის დროს
--	--	--	--

მუხლი 18

1. მოდული I.4. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა – „პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტკივილის მართვის საფუძვლები“, 1 თვე.

2. მოდულის მიზანი – მოდულის მიზანია (ა) ოჯახის ექიმის საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და (ბ) ტკივილის მედიცინის, როგორც საექიმო საქმიანობის შემადგენელის, ტკივილის დიაგნოზისა და მკურნალობის საფუძვლების გაცნობა.

3. ლიტერატურის ნუსხა:

ა) პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა.ა) სამედიცინო მანიპულაციები; სახელმძღვ. სტუდ., რეზიდენტ. და ექიმებისათვის/3. ჩენი, ჯ. სოლა, ქ. ლილემო; თარგმანის რედ.: გივი ჯავაშვილი. – თბ.: მთაწმინდელი, 2004;

ა.ბ) Oxford Textbook of Primary Medical Care Oxford: Oxford University Press, 2004 Jones R, Britten N, Culpepper L, Gass DA, Grol R, Mant D, Silagy C (eds);

ა.გ) Procedures for Primary Care, 3rd Ed, Pfenninger and Fowler, 2011.

ბ) ტკივილის მედიცინა:

ბ.ა) AMDA Clinical Practice Guideline (CPG) for Pain Management (2007, For detailed information go to: www.amda.com;

ბ.ბ) Practical Pain Management 2009 (Michael H. Moskovith, Md, MPH);

ბ.გ) Алгоритм терапии острого вертеброгенного болевого синдрома (кафедра неврологии и нейрохирургии Российского государственного медицинского университета, Москва 2009 г.).

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და მოდულის შეფასების მეთოდები:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნება და კარდიოპულმონური რეანიმაცია; ▪ სპეციალიზებული კარდ. დახმარების ელემენტები: ელექტრო-კარდიოგრაფია, დეფიბრილაცია. ▪ ოტოსკოპია და გარეთა სასმენი მილის „გამორეცხვა“; ▪ თვალის გამოკვლევა და ოთალმოსკოპია; ▪ შარდის ბუშტის კათეტერიზაცია; ▪ ინტრავენური, ინტრამუსკულური და კანჭვეშა ინიექციები; ▪ პერიფერიული ვენების კათეტერიზაცია; ▪ ჭრილობის პირველადი შეფასება, დამუშავება, ნაკერების დადება და მოხსნა; ▪ ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა; ▪ გინეკოლოგიური საშოსმსრვი გასიჯნვა: სარკის ჩადგმა, პაპ-ტესტის აღება; ▪ ბარძაყის დისპლაციის გამოვლენა; 	<ul style="list-style-type: none"> ▪ კარდიოპულმონური რეანიმაციის ტექნიკის ცოდნა; ▪ ოტოსკოპიის ტექნიკის ჩატარების ჩვენებები და უკუჩვენებების ცოდნა, ჩატარება, დაფის აპკისა და გარეთა სასმენი მილის შეფასების უნარი; ▪ ოფთალმოსკოპიის ტექნიკის ჩატარების ჩვენებებისა და უკუჩვენებების ცოდნა; „წითელი რეფლექსის“ დანახვა; მხედველობის ნერვის დვრილისა და სისხლძარღვების მდგომარეობის შეფასება. ▪ შარდის ბუშტის კათეტერიზაციის ჩატარების ჩვენებებისა და უკუჩვენებების ცოდნა, პროცედურისათვის საჭირო აღჭურვილობის სწორად გამოყენება და სეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების დაცვა, პროცედურის ჩატარების დროს სითრთუქებისა და მათი თვიდან აცილების გზების ცოდნა, პროცედურის შესაძლო გართულებების ცოდნა. ▪ ვენის კათეტერიზაციის ჩვენებებისა და უკუჩვენების ცოდნა, საინიექციო ვენის შერჩევა, მანიპულაციის ეტაპების თანმიმდევრობის დაცვა. ▪ ხალშობილის ბარძაყის ამოვარდნილობის გამოვლენის მეთოდების ცოდნა, დისპლაზიის სითრთუქის შეფასება და გამოკვლევების თანმიმდევრობის დასახვა, რეფერალის ჩვენებების ცოდნა. ▪ ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმის ჩვენებები და უკუჩვენებების ცოდნა, გამოსაყენებელი ზონდის 	<ul style="list-style-type: none"> ▪ თითო მანიპულაციას რეზიდენტი ატარებს მანამ, სანამ არ გამოირიცხება შეცდომები, საშუალოდ საჭიროა თითოეული მანიპულაციის, სულ მცირე, 5-ჯერ ჩატარება. 	<ul style="list-style-type: none"> ▪ უნარ-ჩვევის დემონსტრირება რეზიდენტის მიერ მულაჟზე; ▪ შეფასება კითხვარის საშუალებით (check-list)

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	შეფასების მეთოდები
<ul style="list-style-type: none"> ▪ პიკფლოუმეტრი და გლუკომეტრია; ▪ სარქველოვანი პნევმოთორაქსის გადაყვანა ღია პნევმოთორაქსში 	<p>მომზადება, მისი სიგრძის განსაზღვრა, პროცედურის შესაძლო გართულებების ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ინიექციების ჩატარების ტექნიკა; ▪ ჭრილობის მოცულობისა და სირთულის შეფასება, ნაკერების დადებისა და მოხსნის უნარ-ჩვევები, ჭრილობის დახურვისას შესაძლო გართულების და მათი თავიდან აცილების უნარი 		

თეორიული კურსის შინაარსი, მოცულობა	შეფასების მეთოდები
